# საქართველოს რესპუბლიკა

გამოდის 1918 წლიდან • ფასი 1,5 ლარი

№74 (9905) 2025 წლის 26 მაისი, ორშაბათი


# გილოცავთ დამოუკიდებლობის დღეს!



## დავიწყებისთვის განწირული არარაობები



2

## სერ ბულაძე მეფეთა და დედოფალთა წინააღმდეგ




4

## პოეზიის საერთაშორისო ფესტივალი

## სხვიტორში აკაკი წერეთლის პოეტურ ვარსკვლავებს ღამით ხელითაც შეეხებით...



9

# საქმით მეტყველი კაცი – დემურ გადელია

**გენიალური ვაჟა-ფშაველა წერდა: „ნეტავი მას, ვინცა სწორად წუთისოფლის გზას გაკვალავს“... მართლაც, რა ბედნიერია ადამიანი, ვისაც შეუძლია, ისე გაიაროს წუთისოფლის ბეწვის ხიდზე, რომ იგი ღირსების მაღალი ზნეობის მაგალითად აქციოს.**

ასე ცხოვრობს ბატონი **დემურ გადელია.** მისი ცხოვრების გზა ქვაზე დადებული სიკეთის გზაა. კაცობის, ერთგულების, საქმისადმი თავდადების, მოყვასის უპირობო სიყვარულისა და თანადგომის გზა.

ბატონმა დემურმა საკუთარი მხრებით ატარა ეპოქის ტვირთი, გადალახა ყველა ბარიერი, გამოწვევები, პრობლემები და დაწერა ქვეყნის აღმშენებლობის ახალი ისტორია.

ყველგან, სადაც უმოღვაწნია, სამუდამოდ აღბეჭდილა მისი კვალი, როგორც სიმბოლო მოყვასის სიყვარულისა, მსახურებისა, ზრუნვისა, უანგარო სიკეთისა და ერთგულებისა.

საქვეყნოდ აღიარებული „არქეოპოლისის“ დამფუძნებელი და ხელმძღვანელი, ეკონომიკის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი, ორი მოწვევის პარლამენტის წევრი, ორგზის ღირსებისა და წმინდა ნიკოლოზის ორდენების კავალერი, საქართველოს დამსახურებული მეგზევე, სენაკის, მარტვილისა და ზუგდიდის საპატიო მოქალაქე, პროფესიონალი მშენებელი, ეკლესია-მონასტრების აღმშენებელი, სამეგრელოს უხუცესთა საბჭოს წევრი, ქველმოქმედი, მრავალი წიგნისა და მონოგრაფიის ავტორი – ეს რეგალიები თავისთავად მეტყველებს დემურ გადელიას, როგორც მრავალმხრივი საზოგადო მოღვაწის, სამაგალითო მამულიშვილის დამსახურებაზე ქვეყნისა და ერის წინაშე.



იხ. 6-7 გვ.

მაგრამ ყველაზე ღირსეული მისი კეთილშობილება, უბრალოება და ზღვარდაუდებელი სიკეთეა.

„მადლი ქენი, ქვაზე დადე, გაიარე – წინ დაგხვდებაო“, ეს ანდაზა ბატონი დემურის ცხოვრების დევიზია, მისი არსებობის სიმბოლური გამოხატულებაა, ქველმოქმედება კი – შინაგანი მოთხოვნილება.

უფალმა დაანათლა განსაცდელში მყოფი ადამიანების თანადგომის საოცარი უნარი და ეს წყალობა ღვთისა კელაპტარივით ანთია უამრავი ადამიანის გულში. ადამიანთა მადლიერება ხომ ყველაზე დიდი და ფასეული ჯილდოა, ლოცვასავით წმინდა და გულწრფელი. ამ ლოცვის ძალა და მადლი მოსავდეს ბატონ დემურს, მის დიდ ოჯახსა და შთამომავლობას.

ნათქვამია: წინა კაცი უკანასი ხიდიაო. გზად და ხიდად გადებული სიყვარულია სწორედ ის ხიდი, რომელიც ბატონმა დემურმა აწმყოსა და მომავალს შორის გადო, რათა თაობებმა მშვიდად, ღირსეულად და უსაფრთხოდ იარონ.

**სს „არქეოპოლისის“ კოლექტივი დიდი სიყვარულითა და მადლიერების გრძნობით ულოცავს თავის სახელოვან თავკაცს ქვეყნად მოვლინების დღეს!**

**...გვეამაყებით, გვეიმედებით, გვიყვარხართ!.. უფლის კალთა ფარავდეს თქვენს ოჯახს! მრავალჟამიერ თქვენი სიცოცხლე, ბატონო დემურ!**

**სს „არქეოპოლისის“ თანამშრომლები**

WWW.SAK.GE ელ.ფოსტა: SAK@SAK.GE

# დავიწყებისთვის განწირული არარაობები



**მოდით, ორიოდე სიტყვით ერთი თანამედროვე სახელმოხვეჭილი კაცის ბიოგრაფია გავიხსენოთ.ლაშა ბუღაძე, ქართული წარმომავლობის თანამედროვე მწერალი, პოეტი, დრამატურგი და ბოლო პერიოდში პოლიტიკურ ლიდერად აღზევებული ,,მოღვაწე‘‘. დაიბადა 1977 წელს. დაამთავრა თბილისის იაკობ ნიკოლაძის სახელობის სამხატვრო კოლეჯი, თბილისის რუსთაველის სახელობის თეატრალური ინსტიტუტის კინო-დრამატურგიისა და ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის ხელოვნების ფაკულტეტები. დაწერილი აქვს ექვსი რომანი, მოთხრობები, პიესები, ესეები, ლექსები და კიდევ ისეთი ,,ნაწარმოებები‘‘, რომელთა რომელიმე ლიტერატურული ჟანრისთვის მიკუთვნება ერთობ სარისკოა.**

## სერ ბუღაძე მეფეთა და დედოფალთა წინააღმდეგ

**თავის დროზე, ყველაზე დიდი გამოხმაურება მოჰყვა მის ერთ-ერთ სწორედ ასეთ „უჟანრო“, ქართული კულტურის, ისტორიისა და მთლიანად ქართველი ერის შეურაცხმყოფელ მიეთმოეთურ „ნაწარმოებს“ „გიორგი რუსი“.**

ბუღაძის ნაწარმოებები გამოცემულია ქართულ, რუსულ, სომხურ, ფრანგულ, გერმანულ, ინგლისურ და პოლონურ ენებზე. არის „საბას“ პრემიის ხუთგზის (ხუთგზის!) ლაურეატი. მიღებული აქვს ლიტერატურული პრემია „წინანდალი“, რუსული სახელოვნებო პრემია „ტრიუმფი“, თეატრალურ მოღვაწეთა, წიგნის მაღაზიათა ქსელ „პარნასის“ (ორჯერ), ბრიტანული რადიო BBC-ის (ორჯერ), ბაკურ სულაკაურის გამომცემლობებისა და თეატრალური პრემია „დურუჯი“ (ბოდიშს ვიხდი, თუ რამე გამომრჩა).

გთხოვთ, ყურადღება მიაქციოთ: „საბას“ ჟიურის წევრ მწერალ-ლიტერატორთა შემადგენლობა ყოველწლიურად განსხვავებულია, მაგრამ მისი ერთგემოვნება და ერთსულოვნება მართლაც გასაოცარია – იგი თავისი პრემიით ხუთჯერ აჯილდოებს ერთსა და იმავე პიროვნებას. არის მეორე ვარიანტიც – ლაშა ბუღაძე გენიოსია!

**ბატონი ლაშა ბუღაძის მოკრძალებული პიროვნებისთვის ხაზგასასმელად ვიტყვი, რომ მას ჯერ არ მიუღია სერ ლაშას ტიტული, ბრიტანეთის იმპერიის ორდენი და გერმანიის გეორგ ბიუხნერის ლიტერატურული პრემია. თუმცა, როგორც საიდუმლოდ მაცნობეს, ქართველი ხალხის გადასარჩენად თავდაუზოგავი ბრძოლისთვის, წარდგენილია მაკკეინის ინსტიტუტის სტიპენდიაზე და სალო ბაბოს სახელობის საერთაშორისო პრემიაზე „ლამაზი ტაკო“.**

სავსებით სამართლიანად დიდ ქართველ მწერლად აღიარებულ ლევან გოთუას (1905-1973 წ.წ.), იმის გარდა, რომ 20 წელი საბჭოთა „გულაგების“ ჯურღმულებში გაატარა, არასოდეს არავითარი ჯილდო, არავითარი პრემია არ მიუღია.

იმასაც შეგახსენებთ, რომ თავისი საკმაოდ ხანგრძლივი ცხოვრების განმავლობაში კონსტანტინე გამსახურდიას (1891-1975 წ.წ.) დაწერილი აქვს ცხრა რომანი, მრავალი მართლაც შესანიშნავი ლექსი და მოთხრობა და სულ მიღებული აქვს ორად-ორი ჯილდო – ლენინის ორდენი და რუსთაველის პრემია;

გენიალურ გალაკტიონს (სიკვდილამდე პალტოს და ფეხსაცმლის ფული რომ ენატრებოდა) – ლენინისა და შრომის წითელი დროშის ორდენები...

სანამ მთავარ სათქმელზე გადავიდოდე, მოდი, ვნახოთ, რას წერს „საბას“ პრემიის ხუთგზის ლაურეატი და დღე-დღეზე მაკკეინის ინსტიტუტის სტიპენდიატი ქართველი მწერალი თამარ მეფეზე (ამონარიდი მოთხრობიდან „გიორგი რუსი“):

**„კაცმა არ იცის, როგორ გამოიყურებოდა მაშინ თამარი! ან ხმა როგორი ჰქონდა? ქართველ ქალებს რო ხმები აქვთ, ალბათ ისეთი – სადღაც მოუქნელი და სადღაც სასიამოვნოც. უკანალი ჩავარდნილი – ანუ ქართული. ოდნავ შესამჩნევი ღინღლი ნორჩ სახეზე – ესეც ქართული... ქართველები მაშინაც ისეთი ჭკუისკოლოფები იყვნენ, როგორც მეთვრამეტე საუკუნეში ტრაქტატზე ხელისმოწერის დროს და როგორებიც ახლა არიან. ჰოდა, გაიხედ-გამოიხედეს – მსოფლიო, რასაკვირველია, დიდი იყო, მაგრამ არჩევანი მაინც სამეზობლოზე, ჩრდილოეთზე გაკეთდა. რატომ ვიწვალოთ, გარემ აქვეაო, იფიქრეს...“**

ისტორიის, საზოგადოების კანონზომიერი განვითარების სრული უვიცობის დემონსტრირებასთან ერთად, ეს გახლავთ მშობელი ხალხის, მშობლიური ისტორიული ღირებულებების თავხედური შეურაცხყოფა. ავტორი ცდილობს, მკითხველი დაარწმუნოს, რომ ქართველი (მისი მშობელი ხალხი!) 800 წლის წინათაც იყო ხარბი, ანგარებიანი, ფეხებზემკიდია საზოგადოება და ასეთად დარჩა დღემდე! რომ, თურმე, მაშინდელ ქართულ პარლამენტს (დარბაზს) თამარ მეფის საქმროდ ნოვგოროდის მთავარი იური ბოგოლიუბსკი პოლიტიკური მოსაზრებით კი არა, გეოგრაფიული სიახლოვის გამო შეურჩევია! რომ, თურმე, ქართველების „რუსეთუმეობა“ ჯერ კიდევ რვა საუკუნის წინათ დაწყებულა და ქართველი ხალხი მაშინაც ისეთივე გონებაჩლუნგი ყოფილა, როგორიც იყო მეთვრამეტე საუკუნის მიწურულს და როგორიც არის დღეს!

განსაკუთრებული აღნიშვნის ღირსია მრავალპრემიანი მწერლის გემოვნება. მისი აზრით, ქართველი ქალები მაშინაც ისეთივე მახინჯები ყოფილან, როგორებიც არიან დღეს – მოუქნელხმიანები, უკანალჩავარდნილები და ღინღლიან-ბანჯგვლიანები. ობიექტურობისთვის ვიტყვი, რომ მისეული ეს შეფასება, სავარაუდოდ,





არ ეხება მიხეილ სააკაშვილის ცოლებისა და საყვარლების არმადას – ყველა სირინოზივით გალობს, ყველა თოვლივით სპეტაკი კანით ქათქათებს და ყველა, უკლებლივ ყველა საზამთროს ფორმის უკანალით გვეთამაშება.

ისე, ბუღაძის ასაკის, მწერლური და ქუჩურმიტინგური გამოცდილების მქონე კაცმა უნდა იცოდეს, რომ ქალის გონებრივი ან სექსუალური ღირსებების შესაფასებლად ხმა, ღინღლი და უკანალის ფორმა არაფერ შუაშია!

ახლა ისიც ვნახოთ, რას წერს მრავალდიპლომიანი ლაშა ქართველი ხალხის სიამაყე ნონა გაფრინდაშვილზე:

**„ვიცი, ნონა გაფრინდაშვილის გაკრიტიკება არ შეიძლება, რადგან, შესაძლოა, პროპაგანდისტებმა წაიღონ ციტატა და წერონ, რომ მე მორიგ „სიწმინდეს შევეხე“, მაგრამ მისი სიტყვები, რომ 9 აპრილს ხალხს თურმე გასაქცევი დაუტოვეს როდიონოვმა და კოჩეტოვმა და 26 მაისს კი – არა, სულ მცირე, უპატივცემულობაა რუსების მიერ 9 აპრილს მოკლული 21 ადამიანის ხსოვნის და ისტორიულად კი – უზნეო უსამართლობა. 2011 წლის 26 მაისი შემზარავი იყო – მთელი თავისი, ჩეკისტების მიერ ინსპირირებული „საპროტესტო“ წინაპირობით და სისხლიანი რბევით ბოლოს. თუმცა, ამ დღის 9 აპრილთან შედარება ამორალურია და დანაშაულებრივიც კი. როგორც ჩანს, ქ-ნი ჭადრაკის დედოფალი 80-იანი წლების ბოლოს განსაკუთრებულ ემოციურ გმულობას ვერ გრძნობდა ეროვნული პროცესების მიმართ და, სავარაუდოდ, როგორც საბჭოთა ელიტარული ნომენკლატურის ნაწილი, მაშინდელი ცეკას ხელმძღვანელობის გულშემატკივარი უფრო იყო, ვიდრე საქართველოს დამოუკიდებლობისთვის მებრძოლი ხალხის. ზოგადად კი, რაც წლები გადის, მით უფრო ვიაზრებ, როგორ, რისი და რატომ ეშინოდა ამ ნომენკლატურულ „ელიტას“ საბჭოთა კაგებეს არქივების გახსნის. არსებითად, პუტჩიც ხომ დიდწილად ამ შიშების გამო „მოაწყვეს“.**

ჩემი „პროპაგანდისტობისა“ რა გითხრათ, მაგრამ ვაფასებ ბუღაძის წინასწარმეტყველებას, რომ „შესაძლოა, პროპაგანდისტებმა წაიღონ ციტატა და წერონ, რომ მე მორიგ სიწმინდეს შევეხე“. თუმცა, აქ საქმე გვაქვს არა მხოლოდ „სიწმინდესთან შეხებაზე“, არამედ უნიჭო დემაგოგიასა და მორიგ უვიცობასთან.

უპირველეს ყოვლისა, ცხრა აპრილის სისხლიანი ტრაგედიის შემოქმედი გახლდათ არა რუსეთი და რუსი ხალხი, არამედ უკვე აგონიაში მყოფი, მაგრამ ჯერ კიდევ მოქმედი საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირი, რომლის შემადგენელი ნაწილი იყო საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკა. უშუალოდ დარბევის შემსრულებელი გახლდათ არა ამიერკავკასიის ჯარები და მისი სარდალი როდიონოვი ან არმიის გენერალი კოჩეტოვი, არამედ ამ მიზნით ციმბირიდან ჩამოყვანილი სპეციალურად გაწვრთნილი რაზმი (სამწუხაროდ, მეთაურის სახელი არ მახსოვს), რომელიც დავალების შესრულებისთანავე უკან დააბრუნეს. ხაზს ვუსვამ, საუბარია სისხლიანი ტრაგედიის უშუალო შემსრულებელზე.

რაც შეეხება 1989 წლის ცხრა აპრილისა და 2011 წლის 26 მაისის შედარების ამორალურობას და დანაშაულებრიობას, მწერალმა კაცმა უნდა იცოდეს, რომ 26 მაისი საქართველოსთვის, ქართველი ხალხისთვის იყო ბევრად უფრო მტკივნეული, ბევრად უფრო ამორალური და ბევრად უფრო დანაშაულებრივი, ვიდრე 9 აპრილი. მიზეზი ძალიან, ძალიან თვალსაჩინოა – სისხლიანი 9 აპრილის ორგანიზატორი იყო მოსკოვი, კრემლი, საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის უმაღლესი ხელისუფლება, შემსრულებელი – საბჭოთა არმია; 26 მაისის სისხლიანი დარბევის ორგანიზატორი იყო თბილისი, მთავრობის სასახლე, დამოუკიდებელი საქართველოს რესპუბლიკის ხელისუფლება; შემსრულებელი – დამოუკიდებელი საქართველოს სპეციალური დანიშნულების რაზმი; უფრო მარტივად: 9 აპრილი იყო – საბჭოთა იმპერია საქართველოს წინააღმდეგ; 26 მაისი – ქართველი ხალხის მიერ არჩეული საქართველოს ხელისუფლება ქართველი ხალხის წინააღმდეგ!

თავად განსაჯეთ, რომელი უფრო ამორალური და დანაშაულებრივია! მოდი, კიდევ ერთხელ ვნახოთ, რას წერს მრავალპრემიიანი და ლამაზუკანალიანი ქართველი მწერალი ნონა გაფრინდაშვილზე:

# არაფერი შეგეშალოთ!

საქართველოს რესპუბლიკა

**„როგორც ჩანს, ქ-ნი ჭადრაკის დედოფალი 80-იანი წლების ბოლოს განსაკუთრებულ ემოციურ გმულოგას ვერ გრძნობდა ეროვნული პროცესების მიმართ და, სავარაუდოდ, როგორც საბჭოთა ელიტარული ნომენკლატურის ნაწილი, მაშინდელი ცეკას ხელმძღვანელობის გულშემატკივარი უფრო იყო, ვიდრე საქართველოს დამოუკიდებლობისთვის მებრძოლი ხალხის“.**

დაუჯერებელია, წარმოუდგენელია, საქართველოში გაზრდილი და მწერლობაზე თუნდაც მცირე პრეტენზიის მქონე ადამიანი ამას გულწრფელად ამბობდეს. ანუ არ იცოდეს, რომ თამარი არის მეთორმეტე საუკუნის საქართველოს საამაყო მეფე, ხოლო ნონა გაფრინდაშვილი – მეოცე საუკუნის მსოფლიოს ქართველი ჭადრაკის დედოფალი!

ჩვენში დარჩეს და, საინტერესოა, თვითონ ლაშა ბუღაძე გრძნობს თუ არა რაიმე **„განსაკუთრებულ ემოციურ გმულოგას“** 21-ე საუკუნის დასაწყისის საქართველოში სააკაშვილის ბინძური ხელისუფლების მიერ ქართველი ხალხის წინაშე ჩადენილი ენით უთქმელი დანაშაულების გამო.

არა, ყველაფერი იცის და ყველაფერს ხედავს. უბრალოდ, მუქთა ფულს დახარბებული იძულებულია, „საბას“ პრემიების დამფინანსებელი იდუმალი „მეგობრის“ დავალება შეასრულოს – საქართველო არ არის ღირსეული, დამოუკიდებელი, მდიდარი ისტორიული წარსულისა და თანამედროვეობის მქონე თავმოყვარე ქვეყანა; ქართველი ხალხი არ არის დამოუკიდებლობის ღირსი – იგი მარადიულად რომელიმე ჯო უილსონის, კაია კალასის ან ზურა-გირჩი ჯაფარიძის შიშველი უკანალის მიღმა უნდა დარჩეს.

რაც მთავარია, მწერალმა უნდა დაამტკიცოს, რომ არც წარსულში, არც თანამედროვეობაში და არც მომავალში საქართველოს არ ჰყოლია, არ ჰყავს და არ უნდა ჰყავდეს ავტორიტეტული, გამოჩენილი, სამაგალითო პიროვნება. ქართველი ხალხი უნდა იყოს მორჩილი ბრბო, უსიტყვოდ რომ დაემორჩილება გირჩი ჯაფარიძისნაირთა ნებასურვილს.

მწერლის ეს სიტყვებიც ამის დასტურია: „ჩვენ „ვესწრებით“ არა მხოლოდ კაფკიანურ პროცესს ზურა ჯაფარიძის (და სხვების) წინააღმდეგ, არამედ ზოგადად პოლიტიკის გაუქმების პროცესს... „პოლიტიკა“ ჩვენს თვალწინ იქცევა ოლიგარქის ნიღბად, ფორმალურ დანამატად მისი არალეგიტიმური წყობისთვის; აბსურდად – პოლიტიკოსებისთვის და საყრდენად – ავტოკრატის ფინანსურ-ძალადობრივი სისტემისთვის. პოლიტიკოსს დაჭერას უპირებენ პოლიტიკოსად ყოფნისთვის – პოლიტიკური ოპონირებისთვის და სხვა არაფრისთვის...“

ერთი შეხედვით, ყველაზე დიდი უცნაურობა (არ მინდა, იდიოტიზმი ვახსენო!) ის გახლავთ, რომ ქართველი მწერალი პოლიტიკოსად მოიხსენიებს კაცს, ვინც რუსეთის შეშინება საკუთარი შიშველი უკანალით სცადა; ვინც საარჩევნო ხმები ახალგაზრდობაში ნარკოტიკების პროპაგანდით მოიპოვა; ვინც ახალგაზრდობას იარაღის გამოყენებით სახელმწიფო გადატრიალებისკენ მოუწოდებდა და ამისთვის გაკვეთილებსაც უტარებდა; ქვეყნის არმიაში სამსახურისთვის თავის ასარიდებლად მის მიერვე გამოგონილი, ბუნებაში არარსებული „რელიგიის“ ჩინებს არიგებდა...

ჩემნაირი უბირი საზოგადოებისთვის აქვე გამოვთქვამ ვარაუდს, რომ „კაფკიანურ პროცესში“ მრავალტიტულოვანი სერ ლაშა ბუღაძე უნდა გულისხმობდეს ებრაული წარმოშობის დიდ გერმანულენოვან მწერალ ფრანც კაფკას და მის ფილოსოფიურ რომანს „პროცესი“.

**კოლექტიური ლაშა ბუღაძის თავდადება განწირულია წარუმატებლობისთვის. იმ შემთხვევაშიც კი, თუ საქართველოს ევროინტეგრაცია გაურკვეველი დროით გადაიდება. თამარი დარჩება საქართველოს საამაყო მეფედ; ნონა გაფრინდაშვილი – მსოფლიოს საამაყო ჭადრაკის დედოფლად; რუსთაველი – მიუწვდომელ მწვერვალად; გალაკტიონი – ქართული პოეზიის მეფედ; გირჩები და მათი მადიდებელი მწერალ-პოლიტიკანები – ხვალვე დავიწყებისთვის განწირულ არარაობებად.**



თეიმურაზ ქორიძე

25. 05. 2025

**რადიკალები 26 მაისს მსხვერპლის აუცილებლობას აანონსებენ, პარალელურად, ექს-პრეზიდენტი აშშ-ის საელჩოში კონსულტაციებს მართავს. საელჩოდან დაბრუნებული სალომე ზურაბიშვილი უკვე საკუთარ ოფისში რადიკალური ოპოზიციის წარმომადგენლებს შეხვდა. შეგახსენებთ, რომ „ჩვენი საქართველო-სოლიდარობის ალიანსის“ აღმასრულებელმა მდივანმა გედევან ფოფხაძემ ისაუბრა 26 მაისის რადიკალიზაციის დროს შესაძლო მსხვერპლზე, იგივე განცხადება გააკეთა გიგი უგულავამაც და დაამატა, რომ მსხვერპლშეწირვა რელიგიურად გამართლებულია. მოკლედ, რადიკალები მსხვერპლისთვის ემზადებიან. რამდენად მისცემს მათ ამის საშუალებას ძალოვანი სტრუქტურა, ამას ზუსტად დღეს ვნახავთ.**



# რა მიზნით ჩამოდიან პროვოკატორი ევრო-პარლამენტარები დღეს, 26 მაისს, თბილისში?!

ვიცე-სპიკერი **გიორგი ვოლსკი** იმედს გამოთქვამს, რომ აშშ-ის საელჩო შეხვედრასთან დაკავშირებით ამომწურავ განცხადებას გააკეთებს და აქვე აღნიშნავს, რომ ამერიკის შეერთებულ შტატებს არ სჩვევია, რომ მისმა საელჩომ რამე დამალოს.

**„მაკკეინის ინსტიტუტის სტიპენდიატი იყო ამერიკის შეერთებული შტატების საელჩოში. ჩვენ არ ვიცით, რა საკითხებზე იმსჯელეს, მაგრამ დარწმუნებული ვართ, რომ ამერიკის შეერთებული შტატების საელჩო გააკეთებს რელევანტურ განცხადებას. იგივე ევროკავშირის ელჩი უკვე დიდი ხანია გამოდის განცხადებებით, რომელიც პირდაპირ არის პოლიტიკური განცხადება. „ნაცმოძრაობის“ პოლიტიკურ ლიდერად გადაიქცა ჰერჩინსკი.**

**რასაკვირველია, შეიძლება ვივარაუდოთ, რა განცხადებებზე, რა ღონისძიებებზეა საუბარი, მაგრამ ვიმედოვნებ, იქნებ გონს მოეგოს ევროკავშირის ელჩი და მიღებული ინსტრუქციის თანახმად, რაღაც გარკვეულ თემებს განიხილავს, რომელიც ეხება საქართველოში სტაბილურობის შენარჩუნებას და ქვეყნის გადარჩენას, თუმცა ეჭვი მაქვს, რომ ამ თემასთან დაკავშირებით არანაირი პოზიტიური დამოკიდებულება ჰერჩინსკის არ გააჩნია, ვინაიდან ინსტრუქცია აქვს სხვა, ხოლო ინსტრუქციის მიმცემის მიმართ ევროპის სასამართლოს სერიოზული პრეტენზიები გააჩნია. ეს არის სქემა, რომელსაც ჩვენ ვუყურებთ. ეს არ ეხება მხოლოდ საქართველოს. ევროპის სივრცეში სერიოზული დაძაბულობაა, მათ შორის, იმ ადამიანის მიმართ, ვინც ინსტრუქციებს აძლევს ჰერჩინსკის“,** – განაცხადა **გიორგი ვოლსკიმ.**

არსებული ინფორმაციით 26 მაისს თბილისში რამდენიმე რადიკალი ევროპარლამენტარი ჩამოდის, რაც პარლამენტის თავმჯდომარის შალვა პაპუაშვილის განცხადებით, მიუთითებს, რომ არანაირი ოპოზიცია და არანაირი NGO-ები არ არსებობენ და თუ პროვოკაცია იქნება, პასუხისმგებლობა დონორებსა და ზოგიერთ ელჩს დაეკისრება.

შალვა პაპუაშვილის განცხადებით, ვერავინ გაექცევა პასუხისმგებლობას, ვინც ადამიანებს ფარად იფარებენ, ძალადობისკენ აქეზებენ, შემდეგ კი რაღაც ღირებულებებზე და ქართველი ხალხის ინტერესებზე საუბრობენ

პაპუაშვილის განცხადებით, ევროპარლამენტარებს, რომლებიც 26 მაისს, დამოუკიდებლობის დღეს, საქართველოში ჩამოსვლას აპირებენ, იმის უფლება არ აქვთ, რომ ქვეყანაში ვითარება არიონ. თუმცა კითხვაზე, გააძევებენ თუ არა მათ ქვეყნიდან, პასუხობს–„არა!“

**„არა! ასე არ არის, ჩახვიდე ქვეყანაში და სიტუაცია არიო, ამის უფლება არავის აქვს, ეს საერთაშორისო სამართლის დარღვევაა. დღეს, როცა რუსეთზე საუბრობენ, რას ედავებიან? წესებზე დაფუძნებული საერთაშორისო წესრიგის დარღვევას და თავად რას აკეთებენ? ვამხელთ. ის, რომ 26 მაისს, რამდენიმე რადიკალი ევროპარლამენტარი ჩამოდის, მაგალითად, რასა იუკნევიჩიენე, რომელიც ბოლო პერიოდში ფაშისტური განცხადებებით არის გამორჩეული, მიუთითებს, რომ არანაირი ოპოზიცია და არანაირი NGO-ები არ არსებობენ. 26 მაისს მათი ქცევა დონორებისა და უცხოელების მიერ მიცემული სიგნალებით იქნება განპირობებული.**

**ასე რომ, თუკი რაიმე პროვოკაცია ან ძალადობა იქნება, როგორიც 9 აპრილს ვიხილეთ, პასუხისმგებლობა სრულად დონორებსა და ზოგიერთ ელჩზე იქნება, რომლებიც მოძალადეებს ხელს ართმევენ და ექსტრემისტებთან და მოძალადეებთან სალონურ საუბრებში არიან შესულები. პასუხისმგებლობა კი გულისხმობს იმას, რომ ჩვენ ამაზე ვისაუბრებთ. ვერავინ გაექცევა ამას, როცა ადამიანებს ფარად იფარებენ, ძალადობისკენ აქეზებენ და შემდეგ რაღაც ღირებულებებზე და ქართველი ხალხის ინტერესებზე აღარ საუბრობენ“,** – აღნიშნა **შალვა პაპუაშვილმა.**

„ხალხის ძალის“ თავმჯდომარის **სოზარ სუბარის** განცხადებით, ეს ცხადყოფს იმას, რომ უცხოელი აქტორების მხრიდან საქართველოს შიდა საქმეებში ჩარევის მცდელობა კვლავაც გრძელდება.

**„ბოლო თვეების განმავლობაში მთელი საქართველო უსმენს საგამოძიებო კომისიაზე იმ საშინელებებს, რასაც „ნაციონალური მოძრაობა“ საქართველოს მოქალაქეების მიმართ ჩადიოდა და ყველა ელჩმა ყველაფერი იცოდა. არავინ საჯარო განცხადებას არ აკეთებდა, თუმცა ღიად ერეოდნენ საქართველოს შიდა საქმეებში. დღეს, სამწუხაროდ, საქართველოს შიდა საქმეებში ჩარევას კვლავ ცდილობენ, ოღონდ უკვე სხვა მიმართულებით – ცდილობენ სახელმწიფოს წინააღმდეგ ძალადობის ჰეროიზაცია მოახდინონ. 26 მაისის წინ, როდესაც ოპოზიციას გაცხადებული აქვს, რომ ალტერნატიული აქციები უნდა მოაწყოს, მინიმუმ, ამერიკის საელჩოსგან განმარტება უნდა მოვისმინოთ, თუ რას შეეხებოდა ოპოზიციასთან შეხვედრა“,** – განაცხადა **სოზარ სუბარმა.**

„ნაციონალური მოძრაობის“ თავმჯდომარის თინა ბოკუჩავას განცხადებით, ივანიშვილის „რუსქოცები“, ჯალათები, რომლებიც ყოველდღიურად ხელყოფენ ჩვენი ქვეყნის დამოუკიდებლობას, სუვერენიტეტს და სახელმწიფოებრიობას, ვერ უნდა აღმოჩნდნენ რუსთაველის გამზირზე 26 მაისს.

**„რუს ქოცების ადგილი რუსთაველის გამზირზე არ არის და ვერ იქნება. ჩვენი ქვეყნის ყველა მოქალაქეს დაუტოვეთ იმის უფლება, თავად განსაჯოს, როგორ იმოქმედებს იმისთვის, რომ დაიცვას ის დღე, რომელიც ძალიან ძვირფასია საზოგადოების უდიდესი ნაწილისთვის, ამ შემთხვევაში, ეს არის 26 მაისი. 26 მაისს ტრადიციულად ვხვდებით რუსთაველზე“,** – განაცხადა **თინა ბოკუჩავამ.**

ანალიტიკოს **ზაალ ანჯაფარიძის** განცხადებით, რაც უფრო ახლოვდება 26 მაისის დღესასწაული, მით უფრო მკვეთრად ვლინდება იმათი აგრესია, ვისაც ზეიმის ჩაშლა სურთ.

**„დიახ, სწორედაც რომ ჩაშლა და არა ზეიმი. სხვაგვარად როგორ უნდა გავიგოთ განცხადებები, რომ რუსთაველზე საზეიმოდ მივდივართ, მაგრამ არ დავუშვებთ, რომ ქვეყნის პრეზიდენტმა და უმაღლესმა მთავარსარდალმა სამხედრო აღლუმი ჩაიბაროსო(?!). ანუ წინასწარ ქმნიან კონფლიქტურ გარემოს. მოწოდებებით მსხვერპლშეწირვაზე, პოლიციელთა დასისხლიანებაზე და ა.შ. სურთ აგრესიის მუხტის გაზრდა. ამ დღეებში შეიძლება ვიხილოთ მათი პროვოკაციები.**

**ჩემი აზრით, მათი მიზანია, როგორც მინიმუმ, ამა წლის 9 აპრილის სცენარის გამეორება, რომელსაც დღემდე საკუთარ გამარჯვებად მიიჩნევენ, და მაქსიმუმ მასობრივი არეულობის პროვოცირება. სურთ სამართალდამცავების გამოწვევა ლეგიტიმური ძალის გამოყენებაზე, 2011 წლის 26 აპრილის დარბევასთან პარალელების გავლება და იმის მტკიცება, რომ ეს ხელისუფლება არაფრით განსხვავდება ნაცებისგან.**

**შემდეგ მოხდება დარბევის ფოტო-ვიდეოკადრების დაგზავნა საელჩოებში, საერთაშორისო ორგანიზაციებში, რომ იქიდან წამოვიდეს ბრალდებების ნიაღვარი „მშვიდობიანი მომიტინგეების“ ძალადობრივ დარბევაზე და ა.შ. არ ვიცი, რა გეგმა აქვს ხელისუფლებას, მაგრამ ვფიქრობ, 9 აპრილს რადიკალების მიმართ გამოვლენილი დათმენა/ტოლერანტობა, 26 მაისს უკვე აღარ იმუშავებს – სიტუაციაა სხვა“,** – წერს **ზაალ ანჯაფარიძე.**

პოლიტიკის მეცნიერებათა დოქტორი, პოლიტოლოგი ირაკლი გოგავა ფიქრობს, რომ ქართული სამართალდამცავი სისტემა საკმაოდ მომზადებულია იმისთვის, რომ ნებისმიერი სახის პროვოკაციას წინ აღუდგეს, აღკვეთოს და პროვოკაციების საშუალება არავის არ მისცეს.

**„რა თქმა უნდა, რაღაცა დაძაბულობა, შეხლა-შემოხლა არ უნდა გამოვრიცხოთ, ესენი პროფესიონალები არიან მსგავს ქმედებაში, მაგრამ მთავარია, რომ კანონის წინაშე პასუხი ყველამ აგოს და დაუსჯელი არავინ არ დარჩეს. ჩვენ უნდა გვესმოდეს, რომ ეს არის უცხოეთის მეხუთე კოლონა და მათი ქმედებები განსაკუთრებული სიმკაცრით უნდა ისჯებოდეს, რადგან ისინი ემსახურებიან არა საქართველოს, არამედ უცხო ქვეყნის ინტერესებს. პოლარიზაციის წყარო დღეს არის სწორედ ეს მეხუთე კოლონა, ანუ უცხოეთი და დიდძალი დაფინანსების ხარჯზე ძაბავენ ქვეყანაში სიტუაციას და მიჰყავთ ქვეყანა დესტაბილიზაციისაკენ, რის საშუალებას მათ არც ხელისუფლება და არც საზოგადოება არ აძლევს“,** – აცხადებს for.ge-სთან საუბრისას **ირაკლი გოგავა.**

მოამზადა

თამთა ქარჩავამ

# გული ამიმღერდა ცისფერ სავანეში!!!

**პოეტის გულიდან წამოსული ეს ჭეშმარიტად უნატიფესი სტრიქონი ზუსტად განსაზღვრავს იმ განწყობას, რაც ამ დღეებში სრულიად საქართველოში სუფევდა. დიახ, 14-20 მაისს ჩვენი სამშობლო მსოფლიო პოეზიის მექას წარმოადგენდა. შოთა რუსთველის ქვეყანამ წარმატებით უმასპინძლა მსოფლიოს არაერთი ქვეყნის პოეტებს და ისინი ქართული ცისა და მიწის მადლსა და მირონს აზიარა.**

**პოეზია ხომ მართლაც ბედისწერად ექცა ქართველ კაცს. წმინდა ნინოს ჯვართან ერთად ხომ ქართული ლექსიც ანთებული ჩირაღდანივით მიუძღვოდა წინ ქართველობას საუკუნეების უღრანებში ხეტიალისას და უკეთესი მომავლის რწმენასა და ქედუხრელობას უნერგავდა, დაცემის უფლებას არ აძლევდა, ქვითკირივით ადუღაბებდა მის სულსა და გულს.**

სწორედ ამ პოეზიის თანაზიარნი გახდნენ საერთაშორისო ლიტერატურული ფესტივალის „პოეზია უპირველეს ყოვლისა" მონაწილენი აზერბაიჯანიდან **(აფაგ მესუდი და იმირ მამედლი)**, თურქეთიდან **(ჰარუნ ჩიმქე და მაყვალა ხარებავა)**, ისრაელიდან **(შლომიტ აჰარონ ლირი, ნირა ტუვალი, რობერტ ადარი, ლია საპირი)**, იტალიიდან **(კლაუდიო პოცანი და ნუნუ გელაძე)**, ჩინეთიდან **(იან კე)**, სომხეთიდან **(ედუარდ მილიტონიანი, ანუშ ვარდანიანი და გაგიკ დავთიანი)**, ავსტრიიდან **(მაკა გურჩიანი)**...

პოეზიის საერთაშორისო ფესტივალი, რომლის ჩატარების ინიციატორი და ორგანიზატორი საქართველოს მწერალთა კავშირი იყო, საზეიმოდ 14 მაისს საქართველოს მწერალთა სასახლეში გაიხსნა.

ფესტივალი საზეიმოდ გახსნა საქართველოს მწერალთა კავშირის თავმჯდომარემ, ფესტივალის საორგანიზაციო კომიტეტის ხელმძღვანელმა **მაყვალა გონაშვილმა,** რომელმაც ვრცლად ისაუბრა პოეზიაზე, მის გენეზისზე, მის როლსა და მნიშვნელობაზე თანამედროვე სამყაროში. დამსწრე საზოგადოებას წარუდგინა ფესტივალის მონაწილე სტუმრები. საქართველოს მწერალთა კავშირის თანათავმჯდომარე **რევაზ მიშველაძე** გულთბილად მიესალმა ფესტივალის მონაწილეებს და გამოთქვა რწმენა, რომ ეს მასშტაბური ღონისძიება კიდევ უფრო დააახლოებს სხვადასხვა ქვეყნის ლიტერატორებს და სიკეთის, მშვიდობისა და მეგობრობის კერად იქცევა.

საღამოზე ერთმანეთს ცვლიდნენ ქართველი და უცხოელი პოეტები და მშობლიურ ენაზე კითხულობდნენ საკუთარ ლექსებს.

მეორე დღეს, 15 მაისს, თბილისის ქარვასლაში წარმოდგენილ იქნა ლიტერატურულ-მუსიკალური კომპოზიცია **„სიტყვები საზღვრების გარეშე"**. ამ დღის მთავარი სტუმრები სომეხი მწერლები იყვნენ – სომხეთის მწერალთა კავშირის თავმჯდომარე **ედუარდ მილიტონიანი,** ჟურნალ „ციცერნაკის" მთავარი რედაქტორი **ანუშ ვარდანიანი** და პოეტი **გაგიკ დავთიანი.** სხვათა შორის, თავის დროზე, ამ უკანასკნელმა უარი განაცხადა საკუთარი საიუბილეო კრებულის გამოცემაზე და ითხოვა, რომ ამ კრებულის ნაცვლად ქართული პოეზიის ანთოლოგია გამოცემულიყო. შეფასება ამგვარი საქციელისა თქვენთვის მოგვინდია, ძვირფასო მკითხველო.

ქარვასლაში დღის მთავარი სტუმრები სომეხ მწერლებთან ერთად ებრაელი სტუმრები იყვნენ – **შლომიტ აჰარონ ლირი, ნირა ტუვალი, რობერტ ადარი, ლია საპირი.**

16-17 მაისს პოეზიის საერთაშორისო ფესტივალის მონაწილეებს აჭარამ უმასპინძლა, საქართველოს ამ უმშვენიერესმა და მრავალჭირნახადმა კუთხემ.

16 მაისს აჭარის მწერალთა სახლში გაიმართა ლიტერატურული საღამო, რომელიც აჭარის სამწერლო ორგანიზაციის თავმჯდომარემ **დავით თედორაძემ** გახსნა. იგი გულმხურვალედ მიესალმა ფესტივალის მონაწილეებს და დამსწრეთ გააცნო აჭარის კულტურის მინისტრის ელისო ბოლქვაძის მიმართვა,

ამ დღის მთავარი სტუმარი კი იტალიელი პოეტი **კლაუდიო პოცანი** იყო, რომელმაც საკუთარი ლექსების საოცარი პერფომანსით მიიპყრო დამსწრეთა ყურადღება. მის ლექსებს კი იტალიაში მცხოვრები ქალბატონი ნუნუ გელაძე თარგმნიდა.

საღამოზე ილია ჭავჭავაძის ოქროს მედლები გადაეცათ **ცისანა ანთაძეს, დავით თედორაძეს, იაშა თანდილავას და თინა შიოშვილს**. გიორგი ლეონიძის პრემიით დაჯილდოვდა პოეტი **ზურაბ ფირცხალაიშვილი.**

17 მაისს ფესტივალის მონაწილეები სოფელ გეგელიძეებში გაემგზავრნენ, გამოჩენილი ქართველი პოეტის ფრიდონ ხალვაშის მშობლიურ კუთხეში, სადაც აღინიშნებოდა პოეტის დაბადების 100 წლისთავი. გამგზავრებამდე კი ბათუმში ყვავილებით შეამკეს პოეტის საფლავი.

გეგელიძეებში დიდი საიუბილეო შეხვედრა გაიმართა, სადაც ტრიბუნასთან ერთმანეთს ცვლიდნენ ქართველი და უცხოელი პოეტები და პატივს მიაგებდნენ მათი უფროსი კოლეგის ხსოვნას.

18 მაისს ფესტივალის მონაწილეებს უკვე მცხეთამ უმასპინძლა, საქართველოს პირველმა და უძველესმა დედაქალაქმა. ნიშანდობლივია, რომ ამ ქალაქში, სვეტიცხოვლისა და ჯვრის მონასტრის ნათელი რომ იცავს, ქართული ახალგაზრდული პოეზიის საღამო გაიმართა. ახალგაზრდა პოეტებმა კიდევ ერთხელ დაადასტურეს, რომ ქართული პოეზია მარადიული ფენომენია და მას ღირსეული ახალგაზრდა შემოქმედნი ეზრდებიან, ისეთნი, როგორებიც არიან ოთარ ფალიანი, ქეთევან ნათელაძე, ნიკა ქვრივიშვილი, ნიკოლოზ ჭიკაიძე, ამირან ჯანჯღავა, თემურ ელიავა, კახა ჭლიკაძე, ილია ელიზბარაშვილი, თენგიზ ხუციშვილი (ქრისტეს მხედარი) და სხვანი...

19 მარტს თბილისის შოთა რუსთაველის სახელობის მცირე დარბაზში ფესტივალის საზეიმო დახურვა შედგა.

საღამო შესავალი სიტყვით გახსნა **მაყვალა გონაშვილმა,** რომელმაც გულწრფელი მადლობა გადაუხადა ყველას, ვისი აქტიური თანადგომითაც მოხერხდა ფესტივალის ესოდენ მაღალ დონეზე ჩატარება.

საღამოზე სიტყვით გამოვიდნენ საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტი **როინ მეტრეველი**, საქართველოს პარლამენტის კულტურის კომიტეტის თავმჯდომარე **გიორგი გაბუნია,** საქართველოს მწერალთა კავშირის თანათავმჯდომარე **რევაზ მიშველაძე...**

შემდეგ გაიმართა დაჯილდოებები. მაყვალა გონაშვილმა პოეზიის საერთაშორისო ფესტივალის ლაურეატის წოდებები მიანიჭა ფესტივალის ყველა უცხოელ მონაწილეს და მათთან ერთად **რევაზ მიშველაძეს,** როგორც წლის რჩეულ იუბილარს.

საგარეჯოს მუნიციპალიტეტის მერმა ავთანდილ გულიკაშვილმა გიორგი ლეონიძის სახელობის პრემიები გადასცა. **რაულ ჩილაჩავს, მურად მთვარელიძეს, ზურაბ ფირცხალაიშვილს, ბაღათერ არაბულს, ია სულაბერიძესა და რეზო ნაჭყებიას.**

ჯემალ აჯიაშვილის სახელობის პრემია გადაეცათ: **ნუნუ გელაძეს, ჰარუნ ჩიმქეს, ლერი ალიმონაკს.**

დავით აღმაშენებლის სახელობის ენდალმა და ოქროს მედალი გადაეცათ **რევაზ კლდიაშვილს, ელდარ ნადირაძეს და რობერტ სტურუას.**

ტიციან ტაბიძის სახელობის პრემია გადაეცა **ქეთევან შენგელიას.**

ილია ჭავჭავაძის სახელობის ოქროს მედალი გადაეცათ **ტარიელ ხარხელაურს, ზაალ ბოტკოველს, გოჩა ხარანაულს, ბელა შალვაშვილს, ნანა ცინცაძეს, ილია ერქვანიას.**

გალაკტიონ ტაბიძის სახელობის ოქროს მედალი გადაეცათ: **ტარიელ ჭანტურიას, ჯემალ ინჯიას, ბადრი ქუთათელაძეს, ინესა მერაბიშვილს, ელდინო საღარაძეს.**

ივანე მაჩაბლის სახელობის პრემია გადაეცა **ერეკლე საღლიანს.**

ასე დაიხურა პოეზიის საერთაშორისო ფესტივალი, თუმცა მეორე დღეს, 20 მაისს ერთი შეხვედრა კიდევ შედგა. სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტში უმასპინძლეს იან კეს–ჩინელ მწერალსა და ფილოსოფოსს, რომელმაც ჩინურად თარგმნა გურამ ოდიშარიას რომანი „პრეზიდენტის კატა". ღონისძიებაზე სიტყვით გამოვიდნენ: **ინდირა ძაგანია, გურამ ოდიშარია, დავით ჯალაღონია, ნაირა მარშანია, იან კე, მაკა გურჩიანი, დარიკო ფიფია, ღონისძიებას უძღვებოდა პროფესორი მარინე ტურავა.**

ფესტივალის ეგიდით გამოიცა ერთდროული გაზეთი „პოეზიის დღე", რომელშიც დაბეჭდილია ცნობილი სახელმწიფო მოღვაწეების, საქართველოს მწერალთა კავშირის რეგიონალური ორგანიზაციების თავმჯდომარეების, შოთა რუსთაველის სახელობის სახელმწიფო პრემიის ლაურეატების მილოცვები ფესტივალის მონაწილეებისადმი.

ამ მილოცვებიდან ერთს განსაკუთრებულად გამოვყოფდით, რომელიც საქართველოს სულიერ მწყემსს, უწმინდესსა და უნეტარეს ილია მეორეს ეკუთვნის:

**„თქვენ ბრძანდებით ქართული სიტყვის მსახურნი და, ამდენად, დიდი მისია გაკისრიათ, რათა ხელი შეუწყოთ ქართული აზროვნებისა და ცნობიერების დაცვას.**

**დღეს, როდესაც საქართველომ თავისი ადგილი მსოფლიო მასშტაბით უნდა მოიპოვოს, ძალიან მნიშვნელოვანია, თუ რა დონეზე იქნება წარმოდგენილი ქართული მწერლობა, როგორ შეძლებს იგი, ერთი მხრივ, შეინარჩუნოს და აღორძინოს ეროვნული ფასეულობანი და, მეორე მხრივ, პასუხი გასცეს დროის მოთხოვნებს...**

**ღმერთმა დაგლოცოთ და ერთგულად გამსახუროთ უფალს და სამშობლოს".**

**ზაალ ბოტკოველი**

## დღეს გთავაზობთ ილია ჭავჭავაძის ოქროს მედლის მფლობელების – ლაშა ნადარეიშვილის და ტარიელ ხარხელაურის თითო ლექსს.

**ლაშა ნადარეიშვილი**

### ერო ჩემო, მცხეთის კართან გამოდი!!!



მაგ სუფრიდან
არაფერი აიღო!
მაგ სუფრასთან
წუხელ გასცეს უფალი!
ქრისტეს მცნება
ვინაც ყურად არ იღო
არ ასცდება
იუდას ნასუფრალი!
ზოგი მამლის
ყივილამდე გიგანებს!
ზოგი ისევ
ამჯობინებს ავაზაკს,
მე კი მხიბლავს
შენი ზვრების სიგანე,
სიცოცხლე რომ
ასე გამილამაზა!

გაიცინე,
როცა გიმზერს ჯალათი!
გაიცინე,
როცა უმზერ არქიფოს!
არაფერი
დაიჯერო ამათი!
ოცდაათი ვერცხლიც
ამათ ათქვლიფონ!

როგორ ახლოს
მოფრენილან სვავები!
ეს კანკელიც
შინაურმა დალეწა!
რატომ იტანს
ფილაქანი სამების
ღვთის ტაძარში
შემოპარულ გარეწარს?

ბუდა-თურქიც
უნდა მკერდით გათელო,
თუ ცრემლები
საქართველოს გამო გდის!
ეს მსტოვრებიც
მოინელე, ქართველო!
ერო ჩემო,
მცხეთის კართან გამოდი!!!

**ტარიელ ხარხელაური**

### დაზამთრდა...

დაზამთრდა...
თოვლი არც ისე მიკვირს
და არც სიცივე –
სისხლში რომ ატანს,
მე მეშინია ამ ატმის კვირტის
გაზაფხულზე რომ
ვერ გახსნას მარტმა.
მე მეშინია დამშრალი ღელის,
თოვლის ქვეშ რომ წევს და
უგონოდ სძინავს
და გვირილათა გაყინულ ველის
გამოღვიძება ვერ შესძლოს
წვიმამ.
დასაწყისი არ მაფიქრებს
ზამთრის –
როგორ შევხვდები ზამთრის
დასასრულს?!
ვაი, თუ ისევ დავობდე სახლში,
რომ ცეცხლთან მჯდომი
დავხვდე გაზაფხულს,
მე მეშინია შენი – შენს გამო,
არა თებერვლის ცივი ქარების,
გავიღვიძო და აღარ ვეწამო,



არ მომწყურდე და არ მეყვარები.
გავიღვიძო და მთათა კალთებზე
აღარ მიცდიდნენ ლეგა ნისლები,
იქნებ სჯობია,
აღარ გავთენდე,
მოვკვდე და
ნუღარ გარდავიცვლები.
არ მინდა შენი ჭკნობა ვიხილო,
ვიხილო შენი დაშლა ფერებად,
ჩემს მერე შენთან მოვა
სიკვდილი
და მკერდზე ცივად მოგეფერება.
დაზამთრდა
თოვლი არც ისე მიკვირს,
არც ეს სიცივე –
სისხლში რომ ატანს,
მე მეშინია ამ ატმის კვირტის –
გაზაფხულდეს და
ვერ გახსნას მარტმა.

ეშმაკი ივან კარამაზოვს შუახნის მამაკაცის სახით გამოეცხადა. ყველაფერთან ერთად, შუახნის მამაკაცმა ირონიულად შეახსენა კარამაზოვს „დიდი ინკვიზიტორის“ ავტორობა, რითაც ცხადი ხდება, რომ დოსტოევსკის მიხედვით, სწორედ ეშმაკია ავტორი „დიდი ინკვიზიტორისა“, და არა ივანი, რომელიც მხოლოდ მისი ნების გამტარი გახდა.

# სიკეთის, სიკეთის, სიკეთის შესახებ!..



**დოსტოევსკი, თავის რომანში „ძმები კარამაზოვები“ ივან კარამაზოვს ათქმევინებს ღვთის საშინელ გმობას, რუსული სინამდვილიდან ბავშვების ტანჯვის მაგალითების მოხმობით. საპირისპირო არგუმენტს, რომ სწორედ ამიტომ ეწამა ქრისტე, რათა გამოესყიდა კაცთა დანაშაული, იგი არ ღებულობს. ძმას – ალიოშას იგი უკითხავს თავის მიერ შექმნილ „პოემას“ „დიდ ინკვიზიტორზე“, რომლის მთავარი მოვლენა იმაში მდგომარეობს, რომ დიდი ინკვიზიტორი აძევებს მასთან ხელახლა გამოცხადებულ ქრისტეს სიტყვებით:**

**„არ გვჭირდები, უშენოდ უფრო კარგად ვმართავთ ადამიანებს!“**

**რაც შეეხება ღვთის სამართლიანობის პრობლემას, ეს უცხო არ იყო ძველი სამყაროსთვისაც.**

ჯერ კიდევ ეპიკურე ასე მსჯელობდა: ღმერთს ან სურს ბოროტების მოსპობა, მაგრამ არ შეუძლია, და მაშინ ის უძლურია და არ არის ღმერთი; ან მას ეს შეუძლია, მაგრამ არ სურს ბოროტების მოსპობა – მაშინ ის ბოროტია და თავისი არსის მიხედვით, სატანაა; ან მას არ სურს და არ შეუძლია ბოროტების მოსპობა, რასაც მივყავართ პირველ ორ მტკიცებულებასთან; ან მას შეუძლია, და სურს ამის გაკეთება – მაშინ, საიდან არის ბოროტება?.. თუმცა, ბოროტებას რომ ადამიანი სჩადის თავისი ნებით ანუ თავად ეკვრება ეშმაკს და ამ გზით ხდება ბოროტების წყარო, ხოლო ღმერთი აბსოლუტური სიკეთეა, იესოს ჯვარცმამ აჩვენა, ისევე, როგორც იესოს აღდგომამ აჩვენა ღვთის აბსოლუტური ძალმოსილება. ასევე, ისმის ბოროტების არსებობის კითხვის საპირისპირო კითხვაც: მაშ, სიკეთე რატომ არსებობს ამქვეყნად? პასუხი ასეთია: „არსებულის სიკეთე შეესაბამება მის დამაარსებელ პრინციპს, საბოლოოდ – ღმერთს, როგორც სიკეთის პირველსახეს“ („Lexikon fur Theologie und Kirche“, Bd.4, Freiburg 1986, გვ. 1284). ამრიგად, უკუგდებულ იქნა ეპიკურეიზმის ბოროტი დემაგოგიაც (აქვე მკითხველს ვთხოვ, თავად გაიხსენოს სიკეთის მაგალითები საკუთარი ცხოვრებიდან, ასევე მსოფლიო ისტორიიდან და ლიტერატურიდან).

ახლა რაც შეეხება „დიდ ინკვიზიტორს“. არსებობს კარლ შმიტის კრიტიკა (იხ. შმიტის „რომაული კათოლიციზმი და პოლიტიკური ფორმა“): „დიდი ინკვიზიტორი დოსტოევსკისთან აღიარებს, რომ სატანის ცდუნებებს გადაჰყვა სრული ცნობიერებით, იმიტომ, რომ მან იცის, რომ ადამიანი ბუნებით ბოროტი და მდაბალია, მშიშარა და მოჯანყე, რომლისთვისაც საჭიროა ბატონი. ამიტომ, რომის ეკლესიის მღვდელი თავის თავში პოულობს სიმამაცეს, იტვირთოს მთელი წყევლა, რომელიც აუცილებლობით დაკავშირებულია ასეთ ძალაუფლებასთან“.

კათოლიკურად აღზრდილი შმიტი მიიჩნევს, რომ „აქ დოსტოევსკი დიდი ძალით ახდენს რომის ეკლესიაზე თავისი საკუთარი პოტენციური ათეიზმის პროეცირებას. მისი ანარქისტული არსის მიხედვით, ყოველი ძალაუფლება იყო რაღაც ბოროტი და არაადამიანური. რა თქმა უნდა, მხოლოდ ღმერთში უქმდება უნაშთოდ ძალაუფლებასა და სიკეთეს შორის წინააღმდეგობა; მაგრამ ამ წინააღმდეგობის გვერდის ავლის სურვილი, როდესაც ყველა მიწიერ ძალაუფლებას უარვყოფთ, იქნებოდა უცუდესი არაადამიანურობა. ბნელი, ფართოდ გავრცელებული განწყობა კათოლიციზმის ინსტიტუციურ სიცივეს აღიქვამს როგორც ბოროტს, ხოლო დოსტოევსკის უფორმო სიფართოვეს, როგორც ჭეშმარიტ ქრისტიანობას. ეს ბანალურობაა, როგორც ყველაფერი, რაც რჩება განწყობისა და შეგრძნების განმგებლობაში, როდესაც თვით ვეღარ ამჩნევენ, თუ რაოდენ არაქრისტიანულია წარმოდგენა, თითქოს ქრისტეს, თავის მიწიერ ყოფნასა და ზეიმით მეორედ მოსვლას შორის, შეეძლო, ადამიანებს მოვლენოდა კიდევ რამდენჯერმე, ექსპერიმენტის სახით“.

თავი რომ დავანებოთ პაპიზმს და კათოლიციზმს, სახელმწიფო ლიდერი ვალდებულია, იტვირთოს „ძალაუფლებასთან აუცილებლობით დაკავშირებული წყევლა“. სწორედ ამ გზით ხორციელდება მეორედ მოსვლის გადაწევა, კატეხონის ფუნქციის შესრულება. თუმცა სახელმწიფო ლიდერს ამპარტავნებაში გადავარდნის, ძალაუფლებით ტკბობისა და, ჯამში, ქრისტეს უარყოფის ცდუნებაც უჩნდება – იგი შეიძლება იქცეს „დიდ ინკვიზიტორად“... შმიტის კრიტიკის პასუხი ისევ დოსტოევსკის შემოქმედებაში ძევს. ავიღოთ კვლავ „ძმები კარამაზოვების“ ის თავი, რომელსაც „ეშმაკი, ივან ფიოდორის ძის კოშმარი“, ეწოდება. ეშმაკი ივან კარამაზოვს შუახნის მამაკაცის სახით გამოეცხადა. ყველაფერთან ერთად, შუახნის მამაკაცმა ირონიულად შეახსენა კარამაზოვს „დიდი ინკვიზიტორის“ ავტორობა, რითაც ცხადი ხდება, რომ დოსტოევსკის მიხედვით, სწორედ ეშმაკია ავტორი „დიდი ინკვიზიტორისა“, და არა ივანი, რომელიც მხოლოდ მისი ნების გამტარი გახდა.

ამრიგად, სიკეთე ამქვეყნადაც არსებობს და, მაშასადამე, მას პოლიტიკაშიც შეუძლია არსებობა. საქართველოს სჭირდება გაბედული ლიდერობა, მიმართული სიკეთის გასაძლიერებლად.

**P. S.** სპორტული ასპარეზობით მიღებული ემოციაც შეიძლება, სიკეთის წყარო იყოს. დაახლოებით ამ ერთი თვის წინ, ტელევიზიით ვუყურე გერმანიაში, დავით ქირიას ორთაბრძოლას კიკ-ბოქსინგში მასპინძელი ქვეყნის წარმომადგენელთან. ქართველმა მებრძოლმა წარბიც არ შეიხარა და ორჯერ გაუშვა მოწინააღმდეგე ნოკდაუნში, რაც უკვე უდავოდ მის გამარჯვებას ნიშნავდა. **დარბაზში სიჩუმე ჩამოვარდა, რაც დაარღვია წაგებული გერმანელის ტაშისცემამ, რომელმაც დამსახურებულად გამარჯვებულ დავით ქირიას დაუკრა ტაში. ქართველ მოკრივესთან მისულ ჟურნალისტს ქირიამ მიკროფონი ჩამოართვა და შიგ სამჯერ ჩასძახა: „საქართველოს გაუმარ-ჯოს!“**

**ჭეშმარიტად: გაუმარჯოს საქართველოს!**



**ვიქტორ რცხილაძე**




# რა უხანგრძლივებს კაცებს სიცოცხლეს?

**უმეტეს ჩვენგანს მიაჩნია, რომ რომანტიკული ურთიერთობები ქალებისთვის უფრო მნიშვნელოვანია, ვიდრე – კაცებისთვის. ყოველ შემთხვევაში, ეს სტერეოტიპული მიდგომა უკვე წლებია ჩამოყალიბდა. რომანტიკული ურთიერთობები ბევრად უფრო პოპულარული თემაა ქალთა ჟურნალებში, ვიდრე იმ პუბლიკაციებში, რომლებიც ძირითადად მამრობითი სქესის სამიზნე აუდიტორიისკენ არის მიმართული. და მაინც, ვისთვის უფრო მნიშვნელოვანია ხანგრძლივი და სტაბილური ურთიერთობა?**



**როგორ და რატომ აღმოჩნდნენ მამაკაცები მთავარი რომანტიკოსები?**

გერმანიის, აშშ-ისა და ნიდერლანდების სამი უნივერსიტეტის მეცნიერთა ჯგუფმა რთული ამოცანა დაისახა და გააანალიზა 50-ზე მეტი სამეცნიერო კვლევა, რომლებიც ჰეტეროსექსუალურ წყვილებში ურთიერთობებისა და გენდერული განსხვავებების სხვადასხვა აღქმას ეხებოდა. გერმანიის მხრიდან ამ პროექტში მონაწილეობა მიიღო ბერლინის ჰუმბოლდტის უნივერსიტეტის ფსიქოლოგიის ინსტიტუტმა. უფრო მეტიც, საერთაშორისო კვლევითი ჯგუფი მოულოდნელ დასკვნამდე მივიდა. კვლევის შედეგები სამეცნიერო ჟურნალში Behavioral and Brain Sciences 2024 წლის დეკემბერში პირველად გამოქვეყნდა. ინფორმაცია ბერლინის უნივერსიტეტის ვებ-გვერდზეც გამოჩნდა.

როგორც კვლევის მთავარი ავტორი და ჰუმბოლდტის უნივერსიტეტის მეცნიერი, ირის ვარინგი აღნიშნავს, სრულიად ნათელია, რომ კაცები სერიოზულ ურთიერთობაზე უფრო მეტად არიან ორიენტირებული. **„გარდა ამისა, ეს ურთიერთობები უფრო დადებითად აისახება მამრობითი სქესის წარმომადგენელთა კეთილდღეობასა და ჯანმრთელობაზე, ვიდრე – მდედრობითის. კაცების სიცოცხლის ხანგრძლივობაც კი მეტად არის დამოკიდებული იმაზე, აქვთ თუ არა მათ სერიოზული ურთიერთობა“,** – ხაზს უსვამს გერმანელი მეცნიერი.

* * *

**მართალია თუ არა, რომ თანმიმდევრულობა კაცებისთვის უფრო მნიშვნელოვანია, ვიდრე - ქალებისთვის?**

50-ზე მეტი სამეცნიერო კვლევის გაანალიზების შემდეგ, რომელთა უმეტესობაც ბოლო 20 წლის განმავლობაში გამოქვეყნდა, მეცნიერები მივიდნენ დასკვნამდე, რომ კაცები გაცილებით ნაკლებად მიდიან განშორების გადაწყვეტილებამდე, რადგან პარტნიორული ურთიერთობის დასრულების შემდეგ, ისინი თავს მარტოდ გრძნობენ. შესაბამისად, კაცები დაშორებაში პოზიტივს უფრო იშვიათად ხედავენ, ვიდრე – ქალები.

მეცნიერთა საერთაშორისო ჯგუფმა შეგროვებული მონაცემები ურთიერთობების სხვადასხვა ეტაპზე გენდერული შეფასების განსხვავებული მოდელების შესაქმნელად გამოიყენა. აღნიშნული მიდგომა ინოვაციურია აკადემიური საზოგადოებისთვის, – ხაზს უსვამენ მკვლევრები. მიუხედავად იმისა, მეცნიერთა განმარტებით, ურთიერთობის სტატუსსა და სიჯანსაღეს შორის კავშირი უკვე კარგად არის შესწავლილი. მთავარი დასკვნა, რომლამდეც მკვლევრები მივიდნენ, არის ის, რომ გრძელვადიანი და სტაბილური ურთიერთობები, ფსიქოლოგიური თვალსაზრისით, უფრო მნიშვნელოვანია კაცებისთვის, ვიდრე – ქალებისთვის. თავიანთ თეორიულ მოდელში მეცნიერები სხვადასხვა არგუმენტსაც წარმოადგენენ. მათი გადმოსახედიდან, საკითხის ყველაზე მნიშვნელოვანი ახსნა ემოციური მოთხოვნილებების ფაქტორით არის შესაძლებელი. **„სხვადასხვა კვლევიდან ვიცით, რომ ზოგადად, ქალები უფრო მეტ ემოციურ მხარდაჭერას იღებენ თავიანთი სოციალური გარემოცვიდან, ვიდრე – კაცები. შესაბამისად, ჰეტეროსექსუალი კაცები უფრო მეტად არიან დამოკიდებულნი თავიანთ გრძელვადიან პარტნიორზე ემოციური მოთხოვნილებების დაკმაყოფილებლად, ვიდრე – ჰეტეროსექსუალი ქალები. რომ შევაჯამოთ, გრძელვადიანი ურთიერთობები მამრობითი სქესის წარმომადგენელთათვის ფსიქოლოგიურად ბევრად მნიშვნელოვანია, ვიდრე – მდედრობითი სქესისთვის“,** – ამბობს ირის ვარინგი.

მეცნიერები დარწმუნებულნი არიან, რომ მათი კვლევის შედეგები მნიშვნელოვანია იმის გასაგებად, თუ რა არის მნიშვნელოვანი ჩვენი ჯანმრთელობისთვის და რამდენად დიდ გავლენას ახდენს მასზე მეგობრობა ან სხვადასხვა სახის ურთიერთობა. **„სოციალური ნორმები ისეა აგებული, რომ ქალები უფრო მეტად უზიარებენ ემოციებს სხვებს და მხარს უჭერენ ერთმანეთს. ეს უფრო ხშირად ხდება ქალებში, ვიდრე – კაცებში“,** – დარწმუნებულია გერმანელი მეცნიერი.

მისი კოლეგა ამსტერდამიდან **პოლ ვან ლანგი** ამ ფენომენს იმით ხსნის, რომ ჯერ კიდევ ბავშვობაში გოგონებისთვის უფრო ადვილი და „მიზანშეწონილია“ ემოციების გამოხატვა და საკუთარი დაუცველობის ჩვენება. პარტნიორის გარეშე კაცებს ხშირად აკლიათ სოციალური კონტაქტი – ადამიანი, რომელთანაც გულწრფელი დიალოგი ექნებათ. ამას შეიძლება ჰქონდეს შორსმიმავალი შედეგები როგორც ჯანმრთელობის, ისე მორალური თვალსაზრისით. გამოქვეყნებული კვლევა მოიცავს მონაცემებს ექსკლუზიურად ჰეტეროსექსუალურ წყვილებზე, – ხაზს უსვამენ მკვლევრები და ამასთანავე, ეს ინფორმაცია ინდუსტრიული ქვეყნების მოსახლეობას ეხება.

**წარმატებულ მეწარმეს, აღიარებულ ქველმოქმედსა და მეცნიერს, ბატონ დემურ გადელიას ხვალ, 27 მაისს, დაბადებიდან 85 წელი შეუსრულდება.**



# საქმით მეტყველი კაცი – დემურ გადელია

**სენაკის მუნიციპალიტეტის სოფელ ძველი სენაკის მიწაწყალზე, მდინარე ტეხურის მიმდებარედ, გამვლელი ადამიანის თვალსა და გულს ახარებს საოცარი გემოვნებით მოწყობილი გარემო, რომლის გალავანზე გაკეთებული წარწერა გვამცნობს, რომ იგი სააქციო საზოგადოება „არქეოპოლისს“ ეკუთვნის.**

ამ მართლაცდა საოცარი „კარ-მიდამოს“ შემქმნელი და აღმშენებელი ერთი გულმართალი პიროვნება – დემურ გადელია გახლავთ. მეტად რთული წინააღმდეგობებით სავსე და შთამბეჭდავია დემურ გადელიას მიერ განვლილი ცხოვრების გზა. დაიბადა და გაიზარდა მარტვილის (გეგეჭკორის) რაიონის სოფელ დიდიჭყონში, მრავალშვილიან, შრომისმოყვარეობითა და პატიოსნებით გამორჩეულ ოჯახში.

სკოლის წარჩინებით დამთავრების შემდეგ უმაღლეს სასწავლებელში სწავლის გასაგრძელებლად შრომითი სტაჟისთვის იმუშავა გზის მშენებლობაზე, დაეუფლა მძღოლის პროფესიასაც და სუბტროპიკული მეურნეობის ინსტიტუტის მექანიზაციის ფაკულტეტის დაუსწრებელი განყოფილების სტუდენტი გახდა, პარალელურად მუშაობდა ავტოსატრანსპორტო საწარმოში მძღოლად.

მონდომებითა და მაღალი პასუხისმგებლობით ეკიდებოდა პროფესიას და დაუსწრებელი განყოფილების სტუდენტებს შორის საუკეთესოდ ითვლებოდა, რის გამო ინსტიტუტის რექტორატმა მას დასწრებულ სწავლებაზე გადასვლაც შესთავაზა, მაგრამ პირობების უქონლობის გამო, უარი განაცხადა. ინსტიტუტი წარჩინებით დაამთავრა. ერთი წლით ადრე სამხედრო სამსახურიც მოიარა ოფიცრის ჩინით და მშობლიურ რაიონს დაუბრუნდა.

აქ მას უკვე იცნობდნენ როგორც შრომისმოყვარე, პრინციპულ პიროვნებას და უყოყმანოდ ანდეს საპასუხისმგებლო თანამდებობა – სოფლის მეურნეობის სამმართველოს ინჟინერ-მექანიზატორი გახდა, მალე კი სამმართველოს მთავარ ინჟინერ-მექანიზატორად დააწინაურეს.

თითქმის სამი წელი იმუშავა საქართველოს რესპუბლიკის შინაგან საქმეთა სამინისტროს სისტემაში საპასუხისმგებლო თანამდებობაზე, სადაც თავი გამოიჩინა როგორც უაღრესად პრინციპულმა, მაღალი პასუხისმგებლობის მქონე მუშაკმა.

შემდეგ კვლავ სამეურნეო საქმიანობას დაუბრუნდა. წლების განმავლობაში იღვაწა მარტვილის რაიონის ერთ-ერთ უმსხვილეს ვედიდკარის ჩაის სახელმწიფო მეურნეობაში მთავარ ინჟინერ-მექანიზატორის თანამდებობაზე.

1975 წელს კი საცხოვრებლად გადმოდის სენაკის რაიონში და მუშაობას იწყებს სოფლის მეურნეობის სამინისტროს სარემონტო-სამშენებლო სამმართველოში (შემდგომში ამავე სამინისტროს N2 სამშენებლო ტრესტი) მთავარ ინჟინერ-მექანიკოსად. 1980 წელს გადაჰყავთ ტრესტის მმართველის მოადგილედ – ავტოსატრანსპორტო საწარმოო გაერთიანების უფროსად.

სიახლისადმი დაუოკებელმა სწრაფვამ, ტრესტის საქმიანობის საფუძვლიანმა ანალიზმა მიიყვანა იმ დასკვნამდე, რომ ტრესტში შემავალი სამშენებლო ორგანიზაციების ეფექტიანი, მიზანმიმართული საქმიანობის უზრუნველსაყოფად აუცილებელი იყო ხელმძღვანელობის მართვის სტილის შეცვლა, რეფორმის განხორციელება. თავისი მოსაზრება ტრესტის მესვეურებს გააცნო. ჩანაფიქრი მოუწონეს და იდეის განხორციელებაც მასვე მიანდეს, მხარდაჭერაც აღუთქვეს.

ჯერი ახალი საწარმოს ადგილმდებარეობის შერჩევაზე მიდგა. საკმაო ძიების შემდეგ სოფელ ძველი სენაკის ტერიტორიაზე, მდინარე ტეხურის მიმდებარე ჭაობიანი, ბუჩქნარ-ჯაგნარითა და ეკალ-ბარდით დაფარული ტერიტორია შეირჩა. მისი გაკეთილშობილება მართლაც გაუგონარ შრომას მოითხოვდა, მაგრამ თავის შესაძლებლობებში დარწმუნებულმა, 1980 წელს, ერთი პატარა რონოდით, ექსკავატორითა და რამდენიმე მოძველებული თვითმცლელი ავტომანქანით დაიწყო ყველაფერი. მიზანსწრაფვამ, ოპტიმიზმმა, მტკიცე ხასიათმა შედეგი გამოიღო. ერთ დროს გაუვალი ადგილი თანდათან ემსგავსებოდა თანამედროვე საწარმოს ტერიტორიას.

თავდაპირველად ახალშექმნილ საწარმოს „მექანიზაციისა და ავტოტრანსპორტის“ გაერთიანება ერქვა.

1983 წლის დამდეგს საწარმო „საავტომობილო გზების მშენებლობის, მექანიზაციისა და ავტოტრანსპორტის გაერთიანებად“ გადაკეთდა, მთლიანად მშენებლობის ფუნქციით. შესაბამისად ერთ წელიწადში სარემონტო – სამშენებლო სამუშაოთა მოცულობამ აქ 6 მილიონ მანეთს გადააჭარბა. მშენებლობა ერთდროულად თითქმის მთელ დასავლეთ საქართველოში მიმდინარეობდა. დღის წესრიგში მისი მოცულობის კიდევ უფრო გაზრდა დადგა, რაც მოითხოვდა საწარმოო სიმძლავრეების გადაიარაღებას. შრომითი კოლექტივის კვალიფიციური სპეციალისტებით შევსებას. არსებულის გადამზადების უზრუნველყოფას.



საჭირო გახდა საკუთარი ცოდნის გაღრმავებისთვისაც ეზრუნა, ვინაიდან თავად ინჟინერ-მექანიკოსი გახლდათ. სამშენებლო საქმიანობა სხვა კრიტერიუმებსაც ითვალისწინებდა, ამიტომ ჩაირიცხა საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტის სამრეწველო და სამოქალაქო მშენებლობის ფაკულტეტზე, რომელიც 1987 წელს წარჩინებით დაამთავრა.

სამუშაოს მოცულობათა მკვეთრმა ზრდამ გადააწყვეტინა ბატონ დემურ გადელიას შეექმნა საკუთარი სამშენებლო ბაზა. 1989 წლიდან „აგრომშენის“ ფირმა „სენაკის“ სახელწოდებით შეუდგა სამუშაოების შესრულებას.

**შემდეგ იყო ურთულესი და უმძიმესი პერიოდი, სამოქალაქო ომის ქარცეცხლით გამოწვეული განუკითხაობა და ქაოსი, განადგურდა ქვეყნის ეკონომიკა, ინფრასტრუქტურა.**

ამ ორომტრიალს რაიონში მოქმედი საწარმოებიდან მხოლოდ „არქეოპოლისი“ გადაურჩა, მაგრამ გადაურჩა სისხლისა და წამების ფასად, იმის ფასად, რომ მას მტკიცე ნებისყოფის, შეუდრეკელი, უშიშარი ადამიანი ხელმძღვანელობდა და არა მარტო იცავდა მისი ძალისხმევითა და რუდუნებით შექმნილს, არამედ ასეთ ვითარებაში ერთი წუთითაც არ შეუწყვეტია მუშაობა.

კრიმინალებმა, მთელს საქართველოში მოთარეშე ბანდებმა როგორ არ სცადეს მისი მოდრეკა, დაშინება, განადგურება, ბოლოს მოიტაცეს და მძიმედ დაჭრეს, მაგრამ, საბედნიეროდ, სიკვდილს გადაურჩა.

ბატონი დემურ გადელია თავის გუნდთან ერთად აქტიურად მონაწილეობდა აფხაზეთში მიმდინარე საომარ მოქმედებებსა და მასთან დაკავშირებულ პრობლემებათა გადაჭრაში.

**ფირმა „სენაკი“ 1996 წელს სააქციო საზოგადოებად გადაკეთდა და მისივე ინიციატივით „არქეოპოლისი“ ეწოდა. ეს სახელიც სიმბოლური იყო, რამეთუ ამ კუთხის ისტორია იძლეოდა ამის საფუძველს. „არქეოპოლისი“ ხომ იმ ადგილად მოიაზრება, სადაც პირველად ჩვენმა დიდმა, სახელოვანმა მეფე ფარნავაზმა, ეგრისისა და სვანეთის ერისთავმა ქუჯიმ სწორედ აქ ჩაუყარეს საფუძველი ისტორიულად ერთიანი, ძლიერი ქართული სახელმწიფოს ჩამოყალიბებას...**

დღეს საწარმო ერთ-ერთი წარმატებული და წელგამართული კორპორაციაა ქვეყანაში. სტანდარტების მოთხოვნათა შესაბამისად, მუშაობს მოდერნიზებული ორი ასფალტ-ბეტონის ქარხანა, ექვსი ქვის სამტვრევი საამქრო. გერმანულ-ავსტრიული ფირმის მოძრავი ქვის სამსხვრევი დანადგარი, რკინა-ბეტონის ნაკეთობათა პოლიგონი, არმატურის, სამშენებლო ბლოკის, სახარატე, ავტოსაზეინკლო, სამხატვრო-სადიზაინერო საამქროები, დიდი მოცულობის სასაწყობო, საქვაბე და დამხმარე მეურნეობები. დამონტაჟებულია ლითონის 400-ტონიანი ტევადობის რეზერვუარები. საწარმოს გააჩნია საკუთარი მომსახურების ელექტროქვესადგური ორი მეგავატი სიმძლავრით და მასთან დაკავშირებული სატრანსფორმატორო კომუნიკაციებით, კარიერები, ორი 24-ბინიანი საცხოვრებელი სახლი, რომელშიც აფხაზეთიდან დევნილთა ოჯახებია შესახლებული. მუშაობს მუშათა სასადილო.

ფუნქციონირებს კეთილმოწყობილი, თანამედროვე კომპიუტერული ტექნიკით და ავეჯით მოწყობილი ოფისები, სააქტო დარბაზები, მუზეუმი, სპორტული მოედანი, შადრევანი, ტყე-პარკი, გაზონები. განსაკუთრებული ყურადღება ექცევა ავტოსატრაქტორო პარკის განახლებას და ნორმალურ მუშაობას. საწარმო მთლიანად გაზიფიცირებულია.

ბატონ დემურ გადელიას თაოსნობით რამდენიმე წელია საფუძველი ჩაეყარა ახალი ტექნოლოგიის ათვისებას, სარეაბილიტაციო გზაზე ცემენტ-ბეტონის საფარის დაგებას. ამ მიზნით შეძენილია ბეტონის ქარხანა, ბეტონმზიდმრევი ავტომიქსერები, დიზელ გენერატორები, ვიბრატორები, ღორღისა და ქვიშის დამხარისხებელი დანადგარი...

კომპანიას, როგორც საერთაშორისო და მინიციპულურ ტენდერებში არაერთგზის გამარჯვებულსა და ძირითად კონტრაქტორს, საქართველოს ტერიტორიაზე შესრულებული აქვს საავტომობილო გზების, ხიდების, სარეაბილიტაციო სამუშაოების მთელი კასკადი.

სამუშაოთა მოცულობით, ფინანსური ბრუნვითა და სტაბილური შედეგებით „არქეოპოლისი“ ერთ-ერთი მსხვილი გადამხდელია, მას სოლიდური თანხები შეაქვს ქვეყნის ბიუჯეტში.

„არქეოპოლისში“ დღეს 500-ზე მეტი სხვადასხვა დარგის სპეციალისტია დასაქმებული. მიღწეული წარმატებების გამო საწარმო ბოლო 10 წელიწადია რეგისტრირებულია ე.წ. თეთრ სიაში.

დემურ გადელიამ თავისი საქმიანობითა და საზოგადოებრივი მოღვაწეობით ფართო საზოგადოებას დაუმტკიცა, რომ იგი ჭეშმარიტად ფენომენალური შესაძლებლობების ადამიანია, ულევი ენერგიის პატრონი, დაწყებული საქმის ბოლომდე მიმყვანი და, რაც მთავარია, ის ყოველთვის ზუსტად გრძნობს დროის მოთხოვნებს და ამის გამო მუდამ ავანგარდშია, მუდამ ნოვატორია, მან ეს არაერთგზის დაამტკიცა.

ბატონმა დემურ გადელიამ უმტკივნეულოდ და წარმატებულად დაძლია სამეურნეო საქმიანობიდან პოლიტიკურ ასპარეზზე გადასვლის წინააღმდეგობრივი პროცესიც. მიუხედავად მოსახლეობის დაჟინებული მოთხოვნისა, მას ჯერ კიდევ 1992 და შემდეგ 1995 წელსაც არ ჰქონდა დეპუტატობის კანდიდატად კენჭისყრის სურვილი, მაგრამ 1995 წელს მისი ოფისის წინ შეკრებილმა ხალხმა ერთხმად მოითხოვა მისგან დეპუტატობა და რეგისტრაციის ვადის გასვლამდე რამდენიმე საათით ადრე აიძულეს ხელი მოეწერა სადეპუტატო განაცხადზე.

დემურ გადელია მაშინ პირველად გახდა საქართველოს პარლამენტის წევრი, სენაკის რაიონის მაჟორიტარი დეპუტატი ხმათა აბსოლუტური უმრავლესობით. თუმცა, ყველაფერი ვერ გააკეთა, რაც დასახული ჰქონდა, მაგრამ, რაც მოასწრო, იმდენი და ისეთი ხარისხის იყო, მეორედაც აირჩიეს პარლამენტის დეპუტატად. ამჯერადაც თავისი წონადი სიტყვა თქვა და დამსახურებულად იქნა აღიარებული რაიონის მოსახლეობის საიმედო წარმომადგენლად ქვეყნის უმაღლეს საკანონმდებლო ორგანოში.

ბატონ დემურ გადელიას ლომის წვლილი მიუძღვის სამოქალაქო ომის შედეგად დაზარალებული რაიონის მოსახლეობის დახმარებისა და ინფრასტრუქტურის ობიექტების აღსადგენად სახელმწიფოს მხრიდან ფინანსური სახსრების (სულ 1 მილიონ 335 ათასი ლარის) გამოყოფის საქმეში;

ბოლო წლებში საიმედოდ გამოჩნდა დემურ გადელია ახალ ასპარეზზე, მისმა მდიდარმა გამოცდილებამ, ფართო განათლებამ, შრომისმოყვარეობამ, სიახლეებისადმი დამოკიდებულებამ მას გადაადგმევინა ლოგიკური ნაბიჯი – საკუთარი ძალები მოესინჯა მეცნიერებაშიც.

ჯერ იყო და თბილისის საბანკო ინსტიტუტი დაამთავრა, ფინანსისტ-ეკონომისტის სპეციალობით, ასპირანტურაშიც ისწავლა და დამთავრებისთანავე წარმატებით დაიცვა დისერტაცია ეკონომიკურ მეცნიერებათა კანდიდატის ხარისხის მოსაპოვებლად.

შემდეგ იყო გულმოდგინე მეცადინეობა მეცნიერებათა დოქტორის ხარისხისათვის და დღეს იგი ეკონომიკის მეცნიერებათა დოქტორი და პროფესორია, მრავალი სამეცნიერო ნაშრომის, პოპულარული წიგნებისა და მონოგრაფიის ავტორია.

**იგი სამართლიანად ითვლება საქართველოში რეგიონული ეკონომიკისა და ფინანსური მენეჯმენტის ერთ-ერთ წარმატებულ მკვლევარად, თავის მეცნიერულ ცოდნას და პრაქტიკულ გამოცდილებას ფართოდ უზიარებს მომავალ სპეციალისტებს.**

ჭეშმარიტად განუზომელია ბატონ დემურ გადელიას მიერ გაწეული საქველმოქმედო მასშტაბები. იგი სისტემატურად ეხმარება სოციალურად დაუცველ ადამიანებს, ინვალიდებს, ვეტერანებს, დევნილებს, მზრუნველობამოკლებულ ბავშვებს, სპორტსმენებს, სტიქიით დაზარალებულთა ხელმოკლე ოჯახებს.

განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ბატონ დემურ გადელიას ძალისხმევა ადამიანთა სულიერი აღზრდის კერების აღდგენა-გაფართოებისთვის. მან საკუთარი სახსრებით დააფინანსა წმინდა ალექსი ბერის (შუშანიას„ სახელობის ტაძრის მშენებლობა, ქა-

ლაქში წმინდა გიორგის სახელობის ეკლესიის აღდგენა-რესტავრაციის, მარტვილის მამათა მონასტრის რესტავრაციის, მარტვილის საკათედრო ტაძართან, ბალდის, აბედათის, სენაკის ეკლესია-მონასტრებთან მისასვლელი გზის მშენებლობა, სოფელ სალხინოს დადიანისეულ სასახლესთან პატარა მდინარე ონტოლოზე ქვის თაღოვანი ხიდის მშენებლობის სამუშაოები.

უდიდესი დახმარება აქვს გაწეული სენაკის იოანე ნათლისმცემლის, შხეფის მთავარანგელოზის სახელობის, აბაშის, ფოთის, მესტიის მუნიციპალიტეტებში ეკლესია-მონასტრების მშენებლობა-რესტავრაციისა და კეთილმოწყობის საქმეში.

ფასდაუდებელ დახმარებას უწევს მუნიციპალიტეტის ქალაქისა და სოფლის მოსახლეობას წყალდიდობით გამოწვეული ზიანის აღმოფხვრაში. მის სახელთანაა დაკავშირებული სამოქალაქო ომის დროს აფეთქებული ხიდის სრული აღდგენა და ხიდზე მოსახლეობის უსაფრთხოების მიზნით უზრუნველყო სოფლებთან დამაკავშირებელი გზის ელექტროგანათების მოწყობა საკუთარი სახსრებით.

ქველმოქმედება ჩემი შინაგანი მოთხოვნილებააო, აცხადებს ბატონი დემურ გადელია და საქმით ამტკიცებს ამ სიტყვების სიმართლეს.

მის ამ კეთილშობილურ მისიას შესაფერად შეეხმიანა ჩვენი ცნობილი, სულმნათი პოეტი გენო კალანდია: „ქვრივ-ობლობის გამკითხავი, ქველმოქმედი, უპოვართა და უბედოთა დამპურებელი, ქართული ზნეობისა და ტრადიციების დამფასებელი, ლაკადური მირონით მონათლული, „არქეოპოლისისა და ძველი ციხე კოშკების გუშაგი და მეციხოვნე“...

ღირსეულადაა დაფასებული დემურ გადელიას ღვაწლი ქვეყნისა და ხალხის წინაშე, ორჯერაა დაჯილდოებული ღირსების ორდენით (2000 და 2010 წწ), წმინდა ნიკოლოზის სახელობის ორდენით (2015 წ.); არის სენაკისა, ზუგდიდისა და მარტვილის საპატიო მოქალაქე, საზოგადოება სენაკელის წევრი, მინიჭებული აქვს საპატიო მეგზევის წოდება 3-ჯერ.

დემურ გადელიას საკუთარ თავზე ლაპარაკი არ უყვარს. თუ ძალიან ჩაეძიები, გეტყვის: ცხონებული მამაჩემი არცთუ იშვიათად შემახსენებდა ხოლმე, საკუთარ პიროვნებაზე შენ კი არა შენმა საქმემ უნდა ილაპარაკოსო. ეს შეგონება ჩემი ცხოვრების გზის მაჩვენებლად რჩება მუდამ.

„არქეოპოლისი“ ძალიან მიყვარს არა იმიტომ, რომ დღეს იგი ჩემს საკუთრებას წარმოადგენს, ის შვილივითაა ჩემთვის, მიყვარს იმიტომაც, რომ თითოეული კენჭიც კი მეცნობა მისი, ვინაიდან უდიდესი რუდუნებით ვაკოწიწებდი ყველაფერს. ვფიქრობ, საწადელს მივაღწიე, თუმცა გული უფრო მეტის გაკეთებისკენ მიხმობს... გახსოვთ, როგორ ამბობდა დიდი ილია? – „მოძრაობა და მხოლოდ მოძრაობა არის ჩემო თერგო ქვეყნის ღონისა და სიცოცხლის მომცემი!“, მეც არ ძალმიძს გაჩერება, კაცი სანამ ცოცხალი ხარ, უნდა იმოძრაო, შენს ქვეყანასა და ხალხს უნდა ემსახურო, მეც ვერ მოვისვენებ, სანამ ცოცხალი ვარ. გეგმები კვლავ საკმაოდ ბევრი მაქვს, ვცდილობ, მაქსიმუმი გავაკეთო“.

შემთხვევითი არ იყო, რომ ერთმა ცნობილმა პიროვნებამ ასე შეაფასა მისი მოღვაწეობა: „დემურ გადელია მთელი თავისი არსებით, მრწამსით, ფიქრით, ოცნებით, პრაქტიკით, მშენებელი კაცია, მისი ბედნიერება შენებაშია... სწორედ ასეთი გამორჩეული ადამიანების მხრებზე დგას ჩვენი ქვეყანა“. უკეთესად ვერ იტყვი.

* * *

**ისტორია „არქეოპოლისისა“ და დემურ გადელიას ცხოვრებისა ტყუპისცალივით ჰგავს ერთმანეთს, რამეთუ დაარსების პირველი დღიდან ისინი ერთად მოდიან. ამ ხნის მანძილზე უერთმანეთოდ ერთი დღეც არ უარსებიათ და ალბათ, დიდხანს ასე იქნება.**

**მერე კი... მერე მის მიერ დაწყებულ საქმეს შთამომავლები – შვილი დათო, შვილიშვილები დემურ და იოანე გადელიები გააგრძელებენ და უფრო დიდ პროექტებს განახორციელებენ.**

**„არქეოპოლისის“ თანამშრომლები**

**დაბადებიდან 85 წელი შეუსრულდა ჭეშმარიტ ადამიანს, უგულითადეს მეგობარს, პროფესიონალს, მკვლევარს, ბიზნესმენს, ქველმოქმედს, გამორჩეულად საჩინო პიროვნებას, ჩვენი ჭირისა და ლხინის მუდმივ თანაზიარს, კომპანია „არქეოპოლისის“ პრეზიდენტს, ბატონ დემურ გადელიას.**

# სიქველის ცოცხალი მაგალითი

**ამბობენ, ადამიანი განვლილი წლებით ფასდებაო. ამ წლებს ზოგჯერ ერთი ფარატინა ქაღალდი იტევს, რომელსაც ჩვენ ბიოგრაფიას ვეძახით, ზოგჯერ კი საამისოდ ფურცლებიც არ კმარა, მნიშვნელოვანი ისაა, თუ რა შინაარსით არის იგი გაჯერებული. 80 წელი ის ასაკია, როდესაც ადამიანი იწყებს თავისი განვლილი ცხოვრების გაანალიზებას და წარსულის შეფასებას. სამწუხაროდ თუ საბედნიეროდ, ჩვენ თაობას ქვეყნისთვის განსაკუთრებით რთულ და წინააღმდეგობებით სავსე პერიოდში მოუწია ცხოვრების ყველაზე აქტიური წლების გავლა და მით უფრო, საპასუხისმგებლო აღმოჩნდა ბატონ დემურის მიერ გადადგმული თითოეული ნაბიჯი. ამ თვალსაზრისით მისი ცხოვრება და მოღვაწეობა მისაბაძი და სამაგალითოა, რადგანაც ეს არის ჭეშმარიტად სპეტაკი და კეთილშობილი ადამიანის მიერ განვლილი გზა.**



საიუბილეო წერილები ბიოგრაფიული ელემენტების გარეშე წარმოუდგენელია. ტრადიციას ვერც აქ დავარღვევთ და მკითხველს ზოგად შტრიხებში გავაცნობთ დემურ გადელიას საინტერესო ცხოვრების ზოგიერთ დეტალს. მან თავისი შრომითი საქმიანობა დაიწყო სოფლის მეურნეობის განხრით, შემდეგ მუშაობდა სატრანსპორტო გაერთიანებაში, გარკვეული პერიოდი იმუშავა შინაგან საქმეთა სამინისტროს სისტემაში, იყო სამშენებლო ტრესტის მმართველი. ამჟამად გახლავთ სააქციო საზოგადოება „არქეოპოლისის“ ხელმძღვანელი.

„კაცი ყოველთვის კაცით იყო და ჩემთვისაც ბევრს გამოუწვდია ხელი, მაგრამ, ამ ხელზე გული დებულიყო, ძალზე იშვიათად შემხვედრია“ (ოტია იოსელიანი„. ამ ლამაზი მოგონებით გვინდა დავიწყოთ ჩვენი მოკრძალებული საიუბილეო მისალმება და მრავალთა შორის ქვეყნის გასაგონად ხმამაღლა ვუთხრათ მადლობა გაწეული შრომისა და საქმიანობისთვის, რადგანაც სწორედ ბატონი დემური ბრძანდება ის პიროვნება, რომელიც ხელზე გულდადებული დაიარება ამ ქვეყანაში.

დღეს, ბატონ დემურის საიუბილეო თარიღის აღნიშვნისას, გვინდა ჩვენი უღრმესი პატივისცემა და აღფრთოვანება გამოვხატოთ ამ დიდებული პიროვნების მიმართ, რომელმაც ღრმაშინაარსიანი ცხოვრებითა და კეთილი საქმეების კეთებით აღსავსე გზა განვლო. მრავალმხრივი ნიჭით დაჯილდოებულ ბატონ დემურს, რომელი გზაც არ უნდა აერჩია, დარწმუნებული ვართ, ყოველთვის წარმატებული იქნებოდა. მან მშენებლობის დარგი აირჩია და მუშაობა მოუწია რადიკალურად განსხვავებულ სახელმწიფო წყობის დროსაც და თავისუფალი საქართველოს ხანაშიც.

ბატონ დემურს ზოგიერთებისგან განსხვავებით არასოდეს არ უცხოვრია ერთი დღით, ერთი დღის გამორჩენის პრინციპით. ის ყოველთვის მომავალზე მოფიქრალი ადამიანია. პირველ რიგში, მისი წარმატების საიდუმლო არის ბუნებრიობა, შრომისუნარიანობა, ამასთან ერთად, ჟინი, სურვილი და ბრძოლა დასახული მიზნის განსახორციელებლად. იგი ბუნებით აღმშენებელია, შესანიშნავი პროფესიონალი, ნიჭიერი ორგანიზატორი. ქვეყნისა და ხალხის წინაშე პასუხისმგებლობას მასში წესიერება და სიკეთე უდევს საფუძვლად. დემურ გადელია ვერ ეგუება უსამართლობას, არასოდეს არავის წინაშე არ მოუხრია ქედი. ეს არის ძმობაში უერთგულესი, მეგობრობაში თავდადებული, ახლობლებში გამორჩეული... ქართულ მუხას ჰგავს, რკინის გამძლეობით, გაუტეხლობითა და გამტანობით.

საზოგადოების ფართო წრეებში, განსაკუთრებით მეგზეველთა დიდ ოჯახში, ბატონი დემურ გადელია გამორჩეული პატივისცემითა და სიყვარულით სარგებლობს, რადგან არის საუკეთესო ადამიანური თვისებების მატარებელი. განსაკუთრებით მიმზიდველი და შთამბეჭდავია მისი პიროვნული ხიბლი. მას ყველგან და ყოველთვის დიდი ყურადღებითა და მოწიწებით ეგებებიან, თავად ასეთივე განწყობით ხვდება ყველას.

ბატონი დემური ადამიანებთან უშუალო ურთიერთობის განსაკუთრებული ნიჭით არის დაჯილდოებული, ზედმიწევნით დახვეწილი, ალალ-მართალი, კაცთმოყვარე, ყურადღებიანი და მიმტევებელი. მას მინიშნება არ სჭირდება შენი გაჭირვების გათავისებისთვის. იგი გვერდში მდგომი, ჭირში – შეუდარებელი ჭირისუფალი და შემწე, ლხინში კი საოცარი მასპინძელია. უაღრესად მომთხოვნი საკუთარი თავისა და სხვების მიმართაც. ეს ის პიროვნებაა, რომელსაც საქვეყნო საქმის კეთება ყოველთვის ცხოვრების მიზნად აქვს გადაქცეული.

კომპანია „არქეოპოლისში“ თავისი მოღვაწეობა ბატონმა დემურმა საწარმოს მართვის ახალი სისტემის ჩამოყალიბებით დაიწყო. იგი ხშირად ადგილზე ასწავლიდა თანამშრომლებს დისპეტჩერულ მართვას, სადღეღამისო გრაფიკების შედგენას და შესრულებას, შექმნა სამშენებლო ინდუსტრიის მსხვილი და მცირე მექანიზაციის საშუალებები და ბაზები. შედეგმაც არ დააყოვნა, სრულდებოდა გეგმები, ობიექტების საექსპლუატაციოდ გადაცემის ვადები, მკვეთრად გაუმჯობესდა შესრულებული სამუშაოების ხარისხი. დღესაც ის დიდ შემართებას და მაღალ აქტივობას ინარჩუნებს.

ცხოვრება გზაა – შეგვაგონებენ ძველი ბერძნები. მართლაც, ჩვენი ცხოვრების განმავლობაში უამრავ ადამიანთან გვიხდება ურთიერთობა, ზოგი უკვალოდ იკარგება, ზოგთან ხანგრძლივი დამოკიდებულება გვიყალიბდება. ამათგან ერთეულები ქმნიან მეგობრობის წრეს, რომლებიც ჭირსა და ლხინში უანგაროდ ჩვენ გვერდით არიან, გვაძლევენ იმედს, გვილამაზებენ ცხოვრებას. მათგან ღვთისგან გამორჩეულია ბატონი დემური, რომელსაც ერთიანად აქვს გათავისებული სამამულო, საქვეყნო ინტერესები და მოყვასის სიყვარული. მასში პიროვნულად არის შერწყმული დიდსულოვნება, კეთილშობილება, მეგობრისადმი უანგარო სიყვარული. მისი ცხოვრების დანიშნულება და დევიზია სამაგიეროს მოუთხოვნელად ადამიანისთვის სიკეთის კეთება. მას ერთნაირად უყვარს ბავშვობისდროინდელი, სტუდენტობის პერიოდის და შემდეგ, ცხოვრების ქარტეხილებში შეძენილი მეგობრები, საზოგადოებაში მათი ადგილისა და თანამდებობის მიუხედავად. იგი მართლაც სამაგალითო პიროვნებაა, თავისი განვლილი გზით, ცხოვრების წესით, ადამიანური თვისებებითა და მორალით. ბევრმა შეიძლება არც იცოდეს, რამდენი დახმარება აქვს გაწეული ავადმყოფი ადამიანებისთვის, მეგობრებისთვის, სოციალურად დაუცველი ოჯახებისთვის, სტუდენტებისთვის, მაგრამ, რაც მთავარია, არავის ამადლის ამ ქველმოქმედებას და სიკეთეს ისე აკეთებს, თითქოს არც არაფერი მომხდარა...

„რასაცა გასცემ შენია!“ – აი, მისი ცხოვრების მთავარი დედააზრი.

დიდი საწარმოო გამოცდილება, გაცნობიერებული პროდუქტიული სამეცნიერო მოღვაწეობა, მაღალი ჰუმანიზმი განაპირობებს მისადმი სიყვარულსა და პატივისცემას. იგი მეგობრობის ჭეშმარიტი ბურჯია, გაჭირვებულთა შემწე, ნიჭიერთა მხარდამჭერი, ახალგაზრდების გზის გამკვალავი.

„სანამ ჯანი და ღონე შემრჩენია, არ დავზოგავ თავს ჩვენი ქვეყნის სამსახურში“ – ამბობს ბატონი დემური და დღენიადაგ იმაზე ფიქრობს, რაც შეიძლება მეტი წვლილი შეიტანოს საქართველოს აღმშენებლობის საქმეში.

გულწრფელად უნდა ითქვას, რომ ბატონ დემურს პრაქტიკულად ყველასგან გამოარჩევს ჭეშმარიტი ღვთისნიერი უნარი, აკეთოს დიდი, მასშტაბური საქმეები, თანაც, ხალისით, შემოქმედებითი აღტყინებით აიყოლიოს ადამიანები და მიაღწიოს სასურველ შედეგებს. ის მუდამ ჩართულია სამუშაო პროცესში, სულ მოძრაობაშია. მასთან გამუდმებით მოდიან პრობლემებით დატვირთული ადამიანები ნუგეშის, დახმარებისა და მფარველობის სათხოვნელად. დღესაც ასეა, 85 წლის იუბილარი, მაინც ჭაბუკივით გამოიყურება, უწინდებურად ხალისიანი, შესანიშნავი მეგობარი და მეოჯახეა. ბატონი დემურის ოჯახში მოკრძალებული სუფრაც კი ხშირად ქცეულა ზნეობის, აკადემიურობის, სიტყვიერებისა და დროსტარების ბრწყინვალე ნიმუშად.

ბატონი დემურ გადელია ორჯერ იყო არჩეული საქართველოს პარლამენტის წევრად, რვა წლის მანძილზე ის თავის მდიდარ თეორიულ ცოდნას და პრაქტიკულ გამოცდილებას ახმარდა ჩვენი ქვეყნის ეკონომიკური ზრდის პრობლემების გადაწყვეტას. ახლა, როდესაც პარლამენტში მისი მოღვაწეობის პერიოდს ვაანალიზებთ, გამოვყოფთ უმთავრეს ღირსებას – ადამიანისთვის ბრძოლას და ადამიანურობის გადარჩენაზე ზრუნვას. მისი მოღვაწეობა სახელმწიფომ ღირსეულად დააფასა. ის დაჯილდოებულია ორდენებით, მედლებითა და საპატიო სიგელებით, როგორც კარგი ორგანიზატორი და სამეურნეო მუშაკი. არის ღირსების ორდენის ორგზის და წმინდა ნიკოლოზის ორდენის კავალერი.

სიყვარული, რომლითაც შემოსეს მისმა მეგობრებმა ბატონი დემური, სრულად შეესაბამება ამ პიროვნების ღვაწლს, მის შემოქმედებით გზას და მის მიერ აღსრულებული საქმეების მასშტაბებს. ბედნიერებაა მასთან მეგობრობა.

იუბილარს ვიცნობთ, მრავალი ათეული წელია და მთელი ამ დროის განმავლობაში დემურ გადელია „არ წყვეტს“ ჩვენ აღტაცებას და გაკვირვებას თავისი საქმიანობით. მისი მეგობრები ვაფასებთ მას, როგორც არა მხოლოდ სამაგალითო წარმოების ხელმძღვანელს, არამედ, როგორც არაჩვეულებრივად თბილ პიროვნებას, რომლისგან ბევრი რამ შეგვიძლია ვისწავლოთ.

ბატონი დემურ გადელია ცოცხალი მაგალითია მაღალი ზნეობის, მამულიშვილობისა და მოქალაქეობისა, ჭეშმარიტი ქრისტიან-მართლმადიდებელი, სამშობლოსა და ოჯახის უზომოდ ერთგული, მეგობრებისა და კოლეგებისთვის თავდადებული, შესაშური მეუღლე, მამა და ბაბუაა. არ შეიძლება, არ აღინიშნოს ქალბატონი ნელის, მისი მეუღლის და თანამოაზრის უდიდესი წვლილი დემურის ესოდენ დიდ წარმატებებში (სამწუხაროდ, რამდენიმე წლის წინათ ის გარდაიცვალა). რაოდენ სასიამოვნოა ისიც, რომ ვაჟიშვილი დავითი მამის ტრადიციებს აგრძელებს.

ასე მოვიდა ბატონი დემური თავის მღელვარე ცხოვრების 85-ე წელთან. ღმერთმა ქნას, ერისა და ქვეყნის აქტიურ მსახურს მომავალშიც დიდხანს ევლოს ჩვეული ენერგიითა და მუხლჩაუხრელობით.

ჩვენ, დემურის მეგობრები, ყოველთვის სიამოვნებით და თამამად ვლაპარაკობთ მის დიდ ადამიანურ ღირსებებზე, დახვეწილ კულტურაზე, სამაგალითო კაცთმოყვარეობაზე. იგი ყოველთვის ცდილობდა, მისი წილხვედრი ცხოვრებისეული გზა უშეცდომოდ გაევლო. ამიტომაა მისი ბიოგრაფია შეუბღალავი, ქვეყნისთვის მოღვაწეობა – სასიკეთო, წრფელი და სამაგალითო.

დიდი სიყვარულითა და პატივისცემით ვულოცავთ ბატონ დემურ გადელიას ღირსშესანიშნავ თარიღს, ვუსურვებთ დიდხანს სიცოცხლეს და ჯანმრთელობას. კიდევ ერთხელ გამოვთქვამთ სურვილს, ჩვეული მხნეობა და შემართება მომავალშიც შეენარჩუნებინოს, რათა კვლავ თავდაუზოგავად ეღვაწოს მისთვის საფიცარი საქართველოს სასიკეთოდ.

**მხნედ და ჯანმრთელად, ჯყონდიდელო ბერმუხავ!**

**როინ მეტრეველი, რამაზ, თემურ ხუროძეები, ელიზბარ ჯაველიძე, რამაზ ხეცურიანი, ჯუმბერ პატიაშვილი, ნოდარ ჭითანავა, თამაზ შილაკაძე, გრიგოლ ონიანი, ვალერი ასათიანი, ფრიდონ ინჯია, ამირან გამყრელიძე, ბესიკ კილასონია, გოგი ბოჭორიშვილი, ვიტალი ხაზარაძე, ნოდარ ზაზაძე, ვახტანგ ყოლბაია, მიხეილ ჯიბუტი, გურამ გუნავა, თამაზ ცანავა, ბაკურ გულუა, ოთარ ჭითანავა, ავთანდილ იაშვილი, ვახტანგ კიკნაძე, ივერი ჭელიძე, თემურ კალანდაძე, საველ მარსაგიშვილი, რომან კვაჭაძე, გივი შულაროვი, დემურ ბაღდავაძე, ზურაბ ჩხაიძე, ვასილ დავითაია, მამუკა ჩხაიძე, ირაკლი ლოლაშვილი, კახა კვიციანი, ვალერი კვარაცხელია, სპარტაკ ქოზულია.**



***სევერიან ეზრალიძე.***

***დაიბადა ზუგდიდის რაიონის სოფელ ჯიხაშკარში. სხვადასხვა დროს მუშაობდა რაიონული გაზეთის რედაქტორად, პარტიის რაიკომის მდივნად. დაპატიმრებამდე პარტიის აბაშის რაიკომის პირველი მდივანი გახლდათ.***

***1953 წლის აპრილში ციხიდან გათავისუფლების შემდეგ იყო ანაკლიის მერძეველობა-მეკამეჩეობის მეურნეობის დირექტორი, ჯიხაშკარის ჩაის ფაბრიკის დირექტორი, ქალაქის საყოფაცხოვრებო მომსახურების სამმართველოს უფროსი. მინიჭებული ჰქონდა სოციალისტური შრომის გმირის წოდება. გარდაიცვალა 1964 წელს.***

**ინფორმაცია განსჯისათვის:**

ყოველი პირის დაპატიმრებაზე არსებობს... პარტიის ცენტრალური კომიტეტის შესაბამისი წერილობითი მითითება.

***ივლიანე (მამია) ზოდელავა***

***(1917-2004). დაიბადა ჩხოროწყუში. საშუალო სკოლა თბილისში დაამთავრა. პოლიტექნიკურ ინსტიტუტში ინჟინერმშენებლის სპეციალობა მიიღო. 1940 წლიდან პარტიულ სამუშაოზეა: იყო რკინიგზის სისტემაში პარტკომი, ინსტრუქტორი – რაიკომსა და პარტიის ცენტრალურ კომიტეტში.***

***1943 წელს მიენიჭა სახელმწიფო უშიშროების კომისრის წოდება, 1945 წელს – ალკკ ცკ-ის მეორე მდივნად აირჩიეს, 6 თვის შემდეგ კი – პირველ მდივნად. 1952-1953 წ.წ. ციხეში იჯდა „მეგრელთა საქმის“ გამო. განთავისუფლების შემდეგ საქართველოს მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის პირველ მოადგილედ დანიშნეს, სადაც მხოლოდ 8 თვე დასცალდა მუშაობა.***

***იყო კვების მრეწველობის სამინისტროს კაპიტალური მშენებლობის სამმართველოს უფროსი, „ცეკავშირის“ თავმჯდომარის მოადგილე, ხილ-ბოსტნეულის მეურნეობათა მინისტრი მოადგილე.***

***ანტიფო ჭეჟია***

***(1910-1986 წ.წ.). დაიბადა ჩხოროწყუს რაიონის სოფელ ნაკიანში. საშუალო სკოლისა და სასოფლო-სამეურნეო ტექნიკუმის დამთავრების შემდეგ საქართველოს სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტში მიიღო აგრონომიული განათლება. ერთ ხანს მშობლიურ ტექნიკუმში მასწავლებლობდა, დირექტორის მოადგილეც იყო. 1938 წელს თბილისში გადადის „საქჩაის“ ტრესტის მუშაკთა კვალიფიკაციის ამაღლების კურსების გამგედ. 1939 წლიდან საქ. კპ(ბ) ცკ-ის ინსტრუქტორია, შემდეგ – განყოფილების გამგის მოადგილე.***

***ომის დროს კომისარი იყო, მალე ავადმყოფობის გამო დემობილიზაციით გამოუშვეს. 1943-1950 წ.წ. პარტიის გალის რაიკომის პირველი მდივანია, 1950-1952 წ.წ. – საქ. კპ(ბ) ცკ-ის პასუხისმგებელი ორგანიზატორი, სოფლის მეურნეობის სამინიტროს უფროსი აგრონომი. „მეგრელთა საქმის“ გამო პატიმრობიდან განთავისუფლების შემდეგ პარტიის ხობის რაიკომის პირველ მდივნად აირჩიეს. 1954-1965 წლებში მუშაობდა ზუგდიდის მტს-ს დირექტორად, სოფლის მეურნეობის ინსპექციის უფროსად, სოფლის მეურნეობის სამმართველოს უფროსად.***

***1966 წელს დაინიშნა ჩაისა და სუბტროპიკული კულტურების საკავშირო სამეცნიერო-საწარმოო გაერთიანების ზუგდიდის ფილიალის დირექტორად, სადაც 1985 წლამდე, პენსიაზე გასვლამდე მუშაობდა. არჩეული იყო სამი მოწვევის საქართველოს უმაღლესი საბჭოს დეპუტატად, მინიჭებული ჰქონდა სოციალისტური შრომის გმირის წოდება, იყო ეკონომიკის მეცნიერებათა კანდიდატი, ორი მონოგრაფიისა და 23 სამეცნიერო ნაშრომის ავტორი.***

## ალეკო ასლანიშვილი

# მეგრელთა საქმე

### უსამართლობის თარეში

**4 აპრილს** გაფორმდა მასალები საქართველოს სახელმწიფო უშიშროების სამინისტროს მილიციის სამმართველოს უფროსის ყოფილი მოადგილის ი. მალანიას პასუხისგებაში მიცემის შესახებ, როგორც პირისა, რომელიც ფიგურირებდა საქ. კპ(ბ) ცკ-ის პირველ დახურულ წერილში (!). შემდგომში მალანიაზე საქმე შეწყდა.

6 აპრილს დააპატიმრეს სახელმწიფო უშიშროების სამინისტროს ზუგდიდის რაიგანყოფილების უფროსი *ლ. გაბისონია.*

1952 წლის აპრილსა და მაისში, ძიების მასალების მიხედვით შედგენილი ცნობების საფუძველზე, დააპატიმრეს:

*პართენ კორთხონჯია*-გეგეჭკორის რაიკომის ყოფილი პირველი მდივანი, იმ დროისთვის რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის განყოფილების გამგე;

***ვალერიან ბუზუნავა*** – ცხაკაიას რაიკომის პირველი მდივანი;

***ალექსანდრა იოსავა*** – მიხა ბარამიას მეუღლე;

***ვლადიმერ სიჭინავა*** – ზემო სვანეთის რაიკომის პირველი მდივანი;

***კირილე ბეჭვაია*** – აჭარის საოლქო კომიტეტის ყოფილი პირველი მდივანი. იმ დროს არსად არ მუშაობდა, მოხსნილი იყო;

***სევერიან ეზრალიძე*** – აბაშის რაიკომის პირველი მდივანი;

***მამანტი პაჭკორია*** – ჩხოროწყუს რაიკომის პირველი მდივანი.

***მამანტი პაჭკორია.***

***დაიბადა 1915 წ. სოფელ ცაიშში (ზუგდიდის რაიონი). 1939 წელს დაამთავრა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ისტორიის ფაკულტეტი. მასწავლებლობდა ზუგდიდის პედაგოგიურ სასწავლებელში. მალე რაიონის პროკურორად ნიშნავენ. მოგვიანებით პარტიის ზუგდიდის რაიკომის მეორე მდივნად აირჩიეს. ამ თანამდებობაზე 1948 წლამდე მუშაობდა. შემდეგ პარტიის ჩხოროწყუს რაიკომის პირველ მდივნად დაწინაურდა. მიიღო სოციალისტური შრომის გმირის წოდება. 1952-1953 წ.წ. დაპატიმრებული იყო “მეგრელთა საქმის“ გამო. რეაბილიტაციის შემდეგ ისტორიის მეცნიერებათა საკანდიდატო დისერტაცია დაიცვა. ბოლომდე მუშაობდა ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ზუგდიდის ფილიალში.***

**გაგრძელება, დასაწყისი იხილეთ**
**„სრ“ №47-48, 50-51, 54-55, 56, 57, 60-68, 71-72**



**სევერიან ეზრალიძე**
**აბაშის რაიკომის**
**პირველი მდივანი**



**კონსტანტინე ბზიავა**
**ამიერკავკასიის სამხედრო**
**ოლქის კონტრდაზვერვის**
**სამმართველოს უფროსი**

12 მაისს პირადად ნ. რუხაძის მიერ შედგენილი და ი. სტალინის, ს. იგნატიევისა და ა. მგელაძისათვის წარდგენილი ცნობის საფუძველზე გაიცა საქ. კპ(ბ) ცკ-ის მითითება ამიერკავკასიის სამხედრო ოლქის კონტრდაზვერვის სამმართველოს უფროსის, გენერალმაიორ **კონსტანტინე ბზიავას** დაპატიმრებაზე.

***კონსტანტინე ბზიავა***

***(1905-1972 წ.წ.). 1927 წლიდან მუშაობდა საბჭოთა დაზვერვის ორგანოებში. 1940-1943 წ.წ. იყო ჯერ აჭარის, შემდეგ აფხაზეთის ასსრ შს სახკომი, 1943-1946 წ. წ. – ყაბარდოს ასსრ შს სახკომი, 1946-1952 წ.წ. – ამიერკავკასიის სამხედრო ოლქის კონტრდაზვერვის უფროსი, საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის მოადგილე, 1943 წელს მიენიჭა სახელმწიფო უშიშროების კომისრის წოდება, 1945 წელს –გენერალ-მაიორის. 1952-1953 წ.წ. დაპატიმრებული იყო „მეგრელთა საქმესთან“ დაკავშირებით. ერთ-ერთ ბრალად ის წაუყენეს, ბარამიასთან შინსახკომის თანამშრომელთა განცხადებები მიჰქონდა რუხაძეზე კომპრომატებითო.***

14 მაისს, სსრკ სახელმწიფო უშიშროების სამინისტროს ტრანსპორტის დაცვის სამმართველოს წინადადებითა და საქართველოს კომპარტიის ცეკას მითითებით, დააპატიმრეს ფოთის პორტის უფროსი *კონსტანტინე რეკვავა.*

6 ივლისს კი საქართველოს ალკკ ცენტრალური კომიტეტის ყოფილი პირველი მდივნის, იმ დროისთვის შერისხული და თბილისის საქალაქო საბჭოს აღმასკომის განყოფილების გამგედ ჩამოქვეითებული მამია ზოდელავას ჯერი დადგა.

7 ივლისს ერთბაშად მოხვეტეს:

***ლიდია ბარამია*** – მიხა ბარამიას და;

***ვარლამ მზარელუა*** – ჩხოროწყუს რაიკომის ყოფილი მდივანი, იმჟამად ქ. ცხაკაიას კირის ქარხნის დირექტორი;

***ანტიფო ჭეჟია*** – გალის რაიკომის პირველი მდივანი.

1952 წლის ოქტომბრიდან 1953 წლის თებერვლამდე შინაგანი ციხე კიდევ უფრო შეივსო. მისი ბინადარნი გახდნენ:

***აკაკი პილასონია*** – აჭარის საოლქო კომიტეტის ყოფილი განყოფილების გამგე, რომელიც იმ მომენტში უკვე გაგდებული იყო და არსად არ მუშაობდა;

***ვ. კალანდია*** – აფხაზეთის ასსრ სახელმწიფო საგეგმო კომიტეტის ყოფილი თავმჯდომარე (ისიც აღარსად მუშაობდა);

***ე. ჯიქია*** – ბათუმის საქალაქო საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარე;

***ბ. პაპასქუა*** – აფხაზეთის ასსრ ჯანდაცვის მინისტრი;

***რაფიელ კვირკველია*** – საქ. კპ(ბ) ცკ-ის ყოფილი მდივანი, დაპატიმრების დროს აგარის შაქრის ქარხნის დირექტორი.

დააპატიმრეს მეგრული გვარის მქონე ბევრი სხვა პასუხისმგებელი მუშაკი.

**(გაგრძელება იქნება)**



**ივლიანე (მამია) ზოდელავა**
**საქართველოს ალკკ ცკ-ის**
**პირველი მდივანი**



**ანტიფო ჭეჟია**
**გალის რაიკომის**
**პირველი მდივანი**

**თითქოს დაიღალა საკუთარი ჭირვეულობით წლევანდელი ვარდობის თვე და დიდი აკაკი წერეთლის მშობლიურ სოფელ სხვიტორში ჩასულებს, იქაურობა ბდღვრიალა მზიანი დღით შემოგვეგება. მგოსნის სახლ-მუზეუმის სტუმრობის მიზეზიც კი არაჩვეულებრივ თბილ ამინდს შეესაბამებოდა: კოპწია, მწვანე კოინდრით დაფარულ ეზოში, უზარმაზარი კაკლის ქვეშ შედგა ჩვენი სასიქადულო მეცენატისა და ქველმოქმედის, ბატონ ვახტანგ ვეფხვაძის იდეითა და თანადგომით გამოცემული წიგნის „აკაკი წერეთლის“ საზოგადოებისთვის წარდგინება.**



# სხვიტორში აკაკი წერეთლის პოეტურ ვარსკვლავებს ღამით ხელითაც შეეხებით...

**მიუხედავად იმისა, რომ აკაკი წერეთელს სიცოცხლეშივე ბევრნი საყვედურობდა შემოქმედებით „სიზარმაცეს“, (მათ შორის დიდი ნიკო ნიკოლაძეც!) შთამომავლობას მან მაინც ვრცელი ლიტერატურული მემკვიდრეობა დაუტოვა, რომლის ჭეშმარიტი მარგალიტები სწორედ რომ ვახტანგ ვეფხვაძის ძალისხმევით და მის მიერვე შერჩეული შესანიშნავი შემოქმედებითი ჯგუფის რუდუნებით (რედაქტორ-შემდგენელი ნანა ფრუიძე, დემიკო ლოლაძე, დიზაინერი კახა ბახტაძე) ამ დიდებულ აკადემიურ გამოცემაშია შესული.**

ვიდრე უშუალოდ წიგნის პრეზენტაციის ადგილიდან სახელდახელო რეპორტაჟს შემოგთავაზებდეთ, აუცილებლად უნდა გითხრათ, რომ როგორც თავად ბატონ ვახტანგ ვეფხვაძის, ისე მთელი შემოქმედებითი ჯგუფის წევრთა მისამართით მადლიერების სიტყვები, სავსებით დამსახურებულად, უკლებლივ ყველა გამომსვლელმა გამოხატა!

– წლეულს აკაკი წერეთლის დაბადებიდან 185 წელი სრულდება და ამ თარიღთან დაკავშირებით მრავალი ღონისძიება ტარდება, რომელთაგან ერთ-ერთის მონაწილენი დღეს მისი 190 წლის სახლ-მუზეუმის ეზოში ვართ შეკრებილნი, – თქვა თავის შესავალ სიტყვაში ღონისძიების ორგანიზატორმა და წამყვანმა, მუზეუმის საექსპოზიციო განყოფილების მთავარმა კურატორმა, ქალბატონმა **ლეილა (ელისაბედ) ზაზახიძემ.** – იშვიათია ხალხთან ისე ახლოს ყოფნა, მისი ჭირ-ვარამის გაზიარება, როგორც ეს აკაკის შეეძლო და ხალხიც მას ასეთივე სიყვარულით პასუხობდა. კინოფირზე აღბეჭდილმა მისმა რაჭა-ლეჩხუმში მოგზაურობამ უდიდესი გამოხმაურება პოვა საზოგადოებაში. დიდად სასიხარულოა ისიც, რომ აკაკიმ, ისევე, როგორც ილია ჭავჭავაძემ, თავისი დათესილი სიკეთის მომკა სიცოცხლეშივე შეძლო.

– რაც უფრო დიდი შვილი ჰყავს ერს, მით უფრო დიდი მოვალეობა ადევს ხალხს, რათა მის ხსოვნას საკადრისი პატივი მიაგოს და დანატოვარ მემკვიდრეობას მოუაროს, – თქვა წიგნის რედაქტორ-შემდგენელმა, პროფესორმა **ნანა ფრუიძემ.** – ლიტერატურის ინსტიტუტი აგრძელებს აკაკი წერეთლის თხზულებათა ოცტომეულის გამოცემას, რომელშიც შეტანილი იქნება უკლებლივ ყველაფერი, რაც კი მას ოდესმე დაუწერია. ეს თავისთავად დიდი საქმეა, მაგრამ ზოგადად თუ ვიტყვით, ასეთი გამოცემები უფრო სპეციალისტების შედარებით ვიწრო წრისთვისაა განკუთვნილი, ბატონ ვახტანგ ვეფხვაძის ძალისხმევით შექმნილი წიგნის მსგავსი გამოცემები კი უფრო მკითხველთა ფართო ფენებზეა გათვლილი და უდიდეს როლს ასრულებენ შედევრების პოპულარიზაციაში. იმასაც თუ გავითვალისწინებთ, რომ მასში აკაკის უკვდავი ქმნილებების გარდა, შეტანილია მისი შემოქმედების მკვლევართა და ცნობილ მწერალთა და ლიტერატორთა შეხედულებები მის მემკვიდრეობაზე, მდიდარ ფოტომასალასა და სხვას, ბატონ ვახტანგ ვეფხვაძის წვლილი ამ დიდ საერო საქმეში, ჭეშმარიტად ფასდაუდებელია, – დასძინა ნანა ფრუიძემ.

– ვიდრე ერს აკაკისა და ილიასნაირი შვილები ჰყავს, მას გადაშენება არ უწერია, – ეს შესანიშნავი სიტყვები ცნობილ ისტორიკოსსა და მეცნიერს, მწერალსა და პუბლიცისტს, აკადემიკოს **ელდარ ნადირაძეს** ეკუთვნის, რომელიც რამდენიმე დღის წინათ დავით აღმაშენებლის ორდენით დააჯილდოვეს, რასაც, სხვებთან ერთად, გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ რედაქციის სახელით გულწრფელად ვულოცავთ.



ცნობილმა მწერალმა და ლიტერატურათმცოდნემ, დავით აღმაშენებლისა და ილია ჭავჭავაძის პრემიების ლაურეატმა, **ზაალ ბოტკოველმა,** შესანიშნავი შემოქმედის ჯემალ ქარჩხაძის სიტყვები გაიხსენა: – **საქართველოს მწერლობას შვიდი მანათობელი ვარსკვლავი ჰყავს, რომელთაგან ოთხი მე-19 საუკუნეში მოღვაწეობდა და ერთი მათგანი აკაკიაო, –** წიგნი, რომლის პრეზენტაციის მონაწილეც ვართ, იმის ნათელი მაგალითია, თუ როგორ უნდა უყვარდეს კაცს თავისი ქართველობა, მშობლიური პოეზია. ბატონმა ვახტანგ ვეფხვაძემ ჩინებულად იცის ქართული მწერლობის ფასი და ძალისხმევას არ იშურებს მის წარმოსაჩენად, რისთვისაც მას კიდევ ერთხელ მინდა მოვახსენო დიდი მადლობა. შეგახსენებთ, რომ მისი თაოსნობით აკაკი წერეთლის კრებულის გარდა, კიდევ სამი წიგნი გამოიცა: „გიორგი (გოგლა) ლეონიძე“, „გალაკტიონ ტაბიძე“, „ირაკლი აბაშიძე“ და იმედი მაქვს, რომ კიდევ უფრო მეტი გამოიცემა, – თქვა ზაალ ბოტკოველმა.

– ვიდრე ეს წიგნი ხელში გიჭირავს, მუდამ საქართველოში ხარ, თანაც ის დიდად გაახლოებს მწერალთან, რასაც ხელს უწყობს კრებულში შეტანილი პატარ-პატარა ჩანართები, რომლებშიც აკაკის ყოველდღიური ყოფისა და პიროვნების დამახასიათებელი თვისებებია აღბეჭდილი, – თქვა პოეტმა, აკაკი წერეთლისა და ტიციან ტაბიძის პრემიების ლაურეატმა, პროფესორმა **ქეთევან შენგელიამ.**

– „მწერლობა და პოეზია მოციქულთა სწორი მოღვაწეობაა“ – წმ. სერაფიმ საროველის ეს სიტყვები გაიხსენა ილია ჭავჭავაძისა და გალაკტიონ ტაბიძის პრემიების ლაურეატმა, პოეტმა **ჯუბა ღებელმა** და დასძინა, რომ აკაკის შემოქმედება ამის ნათელი დასტურია, შემდეგ კი საკუთარი ლექსი წაიკითხა.

ქართველ მთამსვლელთა ალიოშა, სიმონ და ალექსანდრა ჯაფარიძეების სახელოვანი გვარის ღირსეულმა შთამომავალმა, ჟურნალისტმა და მკვლევარმა, პროფესორმა **ვანო ჯაფარიძემ** დამსწრეთ უამბო მისი და აკაკი წერეთლის ოჯახების ოდითგან მომავალი ურთიერთობებისა და გულითადი მეგობრობის შესახებ.

ცნობილმა დიპლომატმა და პოლიტიკურმა მოღვაწემ **მალხაზ კაკაბაძემ** მადლობა გადაუხადა ბატონ ვახტანგ ვეფხვაძეს შესანიშნავი ქველმოქმედებისთვის, ასევე განსაკუთრებული პატივი გამოხატა აკაკის სახლ-მუზეუმის თანამშრომლების მიმართ, მისი საცხოვრისის და კარ-მიდამოს ესოდენ საგულდაგულოდ მოვლა-პატრონობისთვის.

– ღმერთმა ისე არ გააღარიბოს საქართველო, რომ თავისი დიდი შვილების სახელსა და დანატოვარს არ მოუაროს, აღნიშნა ცნობილმა პოეტმა, სახელწიფო პრემიის ლაურეატმა **ვანო ჩხიკვაძემ**, რომელმაც საკუთარი ლექსი „გაუმარჯოს“ წაიკითხა.

ასევე საკუთარი ლექსი წაიკითხა ლადო ასათიანის პრემიის პირველმა ლაურეატმა, ახალგაზრდა პოეტმა **ოთარ ფალიანმა**, რომელმაც კიდევ ერთხელ გაუსვა ხაზი, თუ რაოდენ დიდი მნიშვნელობა აქვს ბატონ ვახტანგ ვეფხვაძისნაირ მამულიშვილთა კეთილშობილურ წამოწყებებს ერის აწმყოსა და მომავლისთვის.

დამსწრეთ სიტყვით მიმართეს და გულწრფელად მოესიყვარულნენ მასპინძლები – საჩხერის მუნიციპალური კულტურის სამსახურის ხელმძღვანელი **ზურაბ თურმანიძე** და აკაკი წერეთლის სახელმწიფო მუზეუმის დირექტორი **ცეზარ ლაშხი**, რომელმაც აკაკის მამის, როსტომის სიტყვები გაიხსენა:

– მე რომ ამ სახლის შენება დავიწყე, დამცინოდნენ – ამის აშენებას ვერ მოესწრებიო და მერე წესად შემოიღეს იმერლებმა ასეთი სახლების შენებაო, – აგვისტოში თუკი ჩამობრძანდებით სხვიტორში და დაღამებას ამ დიდებულ ადგილას შეხვდებით, ისეთი შეგრძნება დაგეუფლებათ, თითქოს თითის წვერებზე დამდგარნი ცაზე ვარსკვლავებს ხელით მიწვდებით, მიწვდებით და მოეფერებით!..

თავის გამოსვლაში ბატონმა ვახტანგ ვეფხვაძემ გაიხსენა ბავშვობის ის ბედნიერი ხანა, როცა ზაფხულს დედულეთში, სხვიტორის მეზობლად სოფელ ჭალაში ატარებდა, მადლობა გადაუხადა საჩხერის ადგილობრივი თვითმმართველობის ხელმძღვანელობასა და აკაკი წერეთლის სახელმწიფო მუზეუმის თანამშრომლებს გულთბილი დახვედრისთვის.

**ოთარ ტურაბელიძე,**
**სხვიტორი-თბილისი**

**P.S.** დაბოლოს, გვინდა აღვნიშნოთ, რომ საზეიმო ღონისძიებასთან დაკავშირებით, საჩხერის მუნიციპალიტეტმა, სოციალურ ქსელში საგანგებო განცხადება გაავრცელა, რომელშიც, კერძოდ, ნათქვამია:
„...ამ დროისთვის წიგნის 800 ეგზემპლარი არსებობს და არცერთი მათგანი არ იყიდება. ვახტანგ ვეფხვაძის ინიციატივით, წიგნი ბიბლიოთეკებსა და სხვა შესაბამის დაწესებულებებს დაურიგდებათ“.
**ო. ტ.**



ქართველი ხმლით მოფარიკავე სანდრო ბაზაძე მადრიდში სენიორებს შორის გამართული მსოფლიო თასის, Villa de Madrid-ის ჩემპიონია – ქართველმა ფინალში თურქი ენვერ ილდირიმი 15:8 დაამარცხა.

# დარჩა რამე?

ბაზაძე შეჯიბრებაში T64-დან ჩაერთო. იტალიელ, რუმინელ და ჩინელ მეტოქეებს სძლია და სამი მოგებული ბრძოლის შემდეგ მეოთხედფინალში გავიდა, სადაც რეიტინგის მეორე ნომერი, ფრანგი პატრის სებასტიანი 15:9 დაამარცხა, ხოლო ნახევარფინალში კორეელ სპორტსმენს 15:13 აჯობა.

# ჩემპიონობაც, თასიც

**ხვიჩა კვარაცხელიას ამ დღეებში არ უთამაშია, მაგრამ ერთბაშად 2 ტიტულით მაინც გაიმდიდრა კარიერა.**

**იტალიის სერია „ა“.** ბოლო ტური. ნაპოლი – კალიარი 2:0. 24 წლის ქართველმა ვარსკვლავმა მეორედ მოიპოვა სკუდეტო, მაგრამ კალჩოს უცნაური დებულების გამო ოქროს მედალს ამჯერად ვერ მიიღებს. დიახ, ჯილდო მხოლოდ მას ერგება, ვინც ტურნირის განაცხადში იმ მომენტშია შეყვანილი, ანუ კვარადონას პირველი წრის 17 მატჩი და 5 გატანილი გოლი არაფერს ნიშნავს და მის ნაცვლად შეძენილი ოკაფორი, რომელიც სარბიელზე სულ რამდენჯერმე გამოჩნდა და ისიც სათადარიგოთა სკამიდან, მკერდს უმაღლესი სინჯის ნობათით დაიმშვენებს. მოკლედ, ვირო მადლიო, ისეა იტალიელ ფუნქციონერთა საქმე.

**საფრანგეთის თასი.** ფინალი პარი სენ-ჟერმენი – რეიმსი 3:0. ჩემპიონთა ლიგის ფინალამდე გამართული გენერალური რეპეტიციის წინ რამდენიმე წუთით ადრე ხვიჩა გულისრევის შეგრძნებისა და თავის ტკივილის გამო სახლში გაუშვეს, მაგრამ ლუის ენრიკემ ყველა დაამშვიდა – ასეთი რამ ჩვეულებრივი ამბავია და კვარა სამშაბათს ვარჯიშს სრულ მზადყოფნაში შეხვდებაო.

იმავე დღეს ზედიზედ მეორედ მოიხვეჭა ავსტრიის ბუნდესლიგის ჩემპიონობა **ოთარ კიტეიშვილმა** მას შემდეგ, რაც გრაცის შტურმი შინ თასის მფლობელ ვოლფსბერგერს დაუზავდა – 1:1, სადაც **სანდრო ალთუნაშვილი** კი ირიცხება, მაგრამ მცირე სათამაშო დროის გამო ამ გუნდის დატოვებას აპირებს.

აქვე კიდევ ერთი სასიხარულო ინფორმაცია უნდა გაგაცნოთ: ბაქოში მიმდინარე მინი-ფეხბურთელთა მსოფლიოს ჩემპიონატზე საქართველოს ეროვნულმა ნაკრებმა ჯგუფური რაუნდის მეორე მატჩიც მოიგო, ამჯერად – მრისხანე არგენტინასთან – 6:1(!) და პლეი-ოფის საგზურს ვადამდე დაეუფლა.

# მზიურის მადლით

**საბა ფურცელაძე თბილისის ჩელენჯერის გამარჯვებულია. მზიურის კორტებზე გამართული ATP ტურნირის ფინალში ქართველმა ჩოგბურთელმა იტალიელ ფედერიკო ჩინას ორ სეტში 7:6, 6:4 აჯობა.**

პირველი სეტი განსაკუთრებით დაძაბული გამოდგა, რომელიც საბამ ტაი ბრეიკზე 7:5 მოიგო, მეორე სეტში კი პირველივე ჩემპიონშიფ პოინტი წარმატებით გამოიყენა და შეხვედრა საათსა და 35 წუთში დასრულდა.

ორივე ჩოგბურთელს 7-7 ეისი ჰქონდა. რაც შეეხება ორმაგ შეცდომებს, ქართველმა 3-ჯერ, ხოლო იტალიელმა 4-ჯერ დაუშვა. საბა ამ გამარჯვებით მსოფლიო რეიტინგშიც დაწინაურდება, მისი მთავარი მიზანი კი უიმბლდონის შესარჩევ ეტაპზე მოხვედრაა. ფურცელაძე ბოლო დროს შესანიშნავ კონდიციებშია, ტრავმის შემდეგ რამდენიმე ტურნირის მოგებაც მოახერხა და რეიტინგში დიდი პროგრესი განიცადა. მან ბოლო ერთ კვირაში



როგორც ინდივიდუალურ, ასევე წყვილთა თანრიგშიც იასპარეზა და ნახევარფინალშიც გავიდა. საბა რამდენიმე დღეში მოლდოვაში გაემგზავრება, სადაც ასევე ჩელენჯერი ჩატარდება და ძალებს იქაც მოსინჯავს.

# ელადის კრახი

**ძნელად თუ წარმოიდგენდა ვინმე, რომ საკალათბურთო ევროლიგის ოთხთა ფინალის სატიტულო ბრძოლა რომელიმე ბერძნული გრანდის გარეშე ჩაივლიდა, მაგრამ საბოლოოდ სწორედ ასე მოხდა და ელადურ დერბიში მხოლოდ მესამე ადგილის მფლობელი გამოვლინდა.**

პირველი არაბული მინი-ტურნირი აწ უკვე ყოფილი ტრიუმფატორის პანათინაიკოსისა და **შარუნას იასეკიავიჩიუსის** გაწვრთნილი ფენერბახჩეს მატჩით გაიხსნა. ამბიციურ ლიეტუველ სპეციალისტს აქამდე გადამწყვეტი რაუნდი ორჯერ ჰქონდა წაგებული და ნავსის გასატეხად ისეთი ანსამბლი შეკრა, მთების გადადგმა რომ შეუძლია.

**ჰილმა, ბიბეროვიჩმა, სმიტმა, გუდურიჩმა** და კამპანიამ თავიდანვე დაბომბეს მრისხანე მეტოქის კალათი სამქულიანებით, მათი ლიდერი **ნანი** კი, მართალია, საბოლოოდ 19-ქულიან პირად მონაგრამდე ავიდა, მაგრამ საკვანძო მომენტში საბედისწერო – მეხუთე პერსონალური შენიშვნა მიიღო და პარტნიორები წოდების დათმობისკენ გაწირა – 76:82.

მიუხედავად ყველაფრისა, სირტაკის სამშობლომ მონაკოს თავკაცის **ვასილის სპანულისის** სახით მაინც შეუტია ევროპულ საკლუბო მწვერვალს, რაშიც ქართველი ასისტენტი **მანუჩარ მარკოიშვილი** დაეხმარა. ეს რეგულარული სეზონის გამარჯვებულისა და უმთავრეს ფავორიტად მიჩნეული ოლიმპიაკოსის ყოჩების – ფურნიეს და ვეზენკოვის გათიშვით და ჯეიმსის ძალისხმევით მოხერხდა – 78:68.



# უკვე ძირითადში

**ნიკოლოზ ბასილაშვილი წლის რიგით მეორე დიდი სლემის ტურნირის, როლან გაროსის ძირითად გადეშია.**

**საკვალიფიკაციო ეტაპის ფინალში ქართველმა ჩოგბურთელმა ფრანგი ჯოფრი ბლენკანო ორ სეტში 6:2, 6:4 დაამარცხა და მიმდინარე წელს მეორე დიდი სლემის ტურნირის ძირითადი ეტაპის საგზური მოიპოვა. მანამდე ბასილაშვილმა ავსტრალიის ღია პირველობაზე ითამაშა.**

ბლენკანომდე როლან გაროსის კორტებზე ქართველმა ჩოგბურთელმა პოლონელ ვაჩეროსა და ნიდერლანდელ ბროუვერს მოუგო. ამ მომენტისთვის ნიკოლოზ ბასილაშვილი პროფესიონალ მამაკაც ჩოგბურთელთა მსოფლიო რეიტინგში 132-ე ადგილზეა.

# ძნელია ანუგეშო...

**მართლაც რომ მუხანათი რამაა წუთისოფელი.**



**უმცროსი ავთანდილ კოკაიასთვის 1 ოქტომბერს ნახევარსაუკუნოვანი იუბილე უნდა მიგველოცა, მაგრამ, სამწუხაროდ, საფრანგეთში არაბთაგან უღვთოდ გამეტებულს ამიერიდან მხოლოდ წარსულ დროში მოვიხსენიებთ...**

**დედაქალაქის 22-ე საჯარო სკოლის კურსდამთავრებულმა უმაღლესი განათლება თსუ-ს ეკონომიკურ ფაკულტეტზე მიიღო, თუმცა პროფესიით არსად უმუშავია და მამის – ფიფას არბიტრის, საქართველოს სპორტის დამსახურებული მოღვაწის, ღირსების ორდენის კავალრის, უფროსი ავთანდილ კოკაიას კვალს გაჰყვა, რომელსაც ეროვნული ნაკრების ისტორიული – ლიტვასთან ფიფას ეგიდით გამართული პირველი მატჩის მსაჯთა ბრიგადის წევრობის პატივი ხვდა წილად.**

**აღსანიშნავია, რომ სამაგალითო მშობლისგან განსხვავებით, მსაჯობის პარალელურად ბავშვთა სპეციალიზებულ საფეხბურთო სკოლა „იმედში“ მომავალ თაობასაც ზრდიდა.**

**დასანანია, რომ ასე მუხანათურად შეწყდა ახალგაზრდა სიცოცხლე. ღირსეული ოჯახის ღირსეულ შვილს დავიწყება არ უწერია.**

„სრ“ სპორტის რედაქცია

# ლიდერობენ ესპანელები

UEFA
CHAMPIONS
LEAGUE

**ყველა დროის ევროპის საუკეთესო კლუბების ათეული ასე გამოიყურება: 1. მადრიდის „რეალი“ (15-გზის გამარჯვებული), 2. „მილანი“ (7), 3-4. „ლივერპული“ და „ბაიერნი“ (6-6-ჯერ), 5. „ბარსელონა“ (5), 6. „აიაქსი“, (4), 7-8. „მანჩესტერ იუნაიტედი“ და მილანის „ინტერი“ (3-3-ჯერ). ათეულს აგოლოებენ გუნდები, რომლებიც ორ-ორჯერ ფლობდნენ თასს. ტურინის „იუვენტუსი“, „ჩელსი“, „ნოტინგემ ფორესტი“, „ბენფიკა“ და „პორტუ“.**

შეიძლება ითქვას, რომ უნიკალური შედეგი დაფიქსირდა ამ ტურნირის დასაწყისში, როდესაც მადრიდის „რეალმა“ ზედიზედ ხუთჯერ მოიგო ჩემპიონთა თასი (1956, 1957, 1958, 1959, 1960). ამ წარმატების მთავარი სულისჩამდგმელები იყვნენ **ალფრედო დი სტეფანო, ფერენც პუშკაში, რაიმონ კოპა, ფრანსისკო ჰენტო, ხოსე სანტამარია** და არგენტინელი თავდამსხმელი **რეალი.** ძნელი საფიქრებელია, რომ ვინმემ შეძლოს ამ უნიკალური შედეგის გამეორება, გაუმჯობესებაზე არცაა ლაპარაკი. მასთან მიახლოება ბევრმა სცადა, მაგრამ აქედან არაფერი გამოვიდა. 70-იანი წლების დასაწყისში ეს ტურნირი ზედიზედ სამჯერ (1971, 1972 და 1973) მოიგო ამსტერდამის „აიაქსმა“, რომლის ლიდერები იყვნენ **იოჰან კრუიფი, იოჰან ნეესკენსი, რუდი კროლი, ჯონი რეპი,** ხოლო შემდეგ ზედიზედ სამჯერ (1974, 1975 და 1976 წლებში) ეს საპატიო თასი მოიგო მიუნჰენის „ბაიერნმა“, რომლის რიგებში ბრწყინავდნენ: **ფრანც ბეკენბაუერი, გერდ მიულერი, პაულ ბრაიტნერი, ზეპ მაიერი, ული ჰიონესი, გეორგ შვარცენბეკი, კარლ-ჰაინც რუმენიგე**. XXI საუკუნეში ეს შედეგი გაიმეორა მადრიდის „რეალმა“, ის ზედიზედ სამჯერ გახდა ჩემპიონთა თასის გამარჯვებული. ამ წარმატებათა მთავარი სულისჩამდგმელი იყო **კრიშტიანუ რონალდუ,** ხოლო გუნდის მწვრთნელი იყო **ზინედინ ზიდანი** (2016, 2017, 2018).

ახლა მოკლედ შევჩერდებით ინდივიდუალურ რეკორდებზე, რომელიც საინტერესოა და რომლის გამეორება ან გაუმჯობესება ძნელი წარმოსადგენი იქნებოდა. ფინალური მატჩების საუკეთესო ბომბარდირია ლეგენდარული უნგრელი ფეხბურთელი, მადრიდის „რეალის“ ვარსკვლავი **ფერენც პუშკაში.** ფინალურ მატჩებში მან შეძლო 8 გოლი გაეტანა. ეს ერთი რეკორდია. მის სახელთან ასოცირდება კიდევ ერთი უნიკალური მიღწევა. მან ამ ტურნირის ისტორიაში პირველად შეასრულა პოკერი, – ოთხი გოლი გაიტანა, ხოლო შემდეგ შეასრულა ჰეთ-თრიქი – სამი გოლი შეაგდო. პირველად ეს მოხდა გლაზგოში 1960 წლის 18 მაისს ფრანკფურტის „აინტრახტთან“ დაუვიწყარ ფინალურ მატჩში, რომელიც 7:3 დასრულდა „რეალის“ სასარგებლოდ. მეორეს ადგილი ჰქონდა 1962 წლის 2 მაისს ამსტერდამში, როდესაც მან სამი გოლი გაიტანა, მაგრამ „რეალმა“ დათმო ეს ფინალი – 5:3 გაიმარჯვა „ბენფიკამ“ და ზედიზედ მეორედ დაეუფლა თასს. 1960 წლის ფინალურ მატჩში ჰეთ-თრიქი შეასრულა **ალფრედო დი სტეფანომ.** მან სამი გოლი გაიტანა. ის ამ ტურნირის ისტორიაში მეორე საუკეთესო ბომბარდირია. მის ანგარიშზე ფინალში გატანილი 7 ბურთია. მის სახელთან ასოცირდება კიდევ ერთი მიღწევა. მან ზედიზედ ხუთ ფინალურ მატჩში შეძლო გოლის გაიტანა. ის შვიდჯერ იყო გადამწყვეტი მატჩის მონაწილე.

პირველი ჰეთ-თრიქი კი ამ პრესტიჟული ტურნირის ისტორიაში შეასრულა არგენტინელმა ცენტრფორვარდმა **რეალმა.** ეს მოხდა პირველსავე ფინალურ მატჩში 1956 წლის 13 ივნისს პარიზში. დაძაბულ შეხვედრაში მადრიდელებმა გაიმარჯვეს 4:3 და პირველად გახდნენ ჩემპიონთა თასის მფლობელები. ერთი გოლი **ალფრედო დი სტეფანოს** ანგარიშზეა.

„რეალმა“ 17-ჯერ ითამაშა ამ ავტორიტეტული ტურნირის ფინალში და 15-ჯერ გაიმარჯვა. ეს კიდევ ერთი უნიკალური მიღწევაა.

კიდევ ერთი უნიკალური შედეგი ასოცირდება მადრიდის „რეალთან“, რომლის გამეორება ან კიდევ გაუმჯობესება თითქმის წარმოუდგენელია. ის ეკუთვნის მადრიდის „რეალის“ მარცხენა გარემარბს **ფრანსისკო ჰენტოს**. მან რვა ფინალურ მატჩში მიიღო მონაწილეობა და ექვსჯერ გაიმარჯვა. ის ყველაზე მეტჯერ ფლობდა ამ საპატიო თასს. ეს კიდევ ერთი რეკორდია, რომლის გამეორება ადვილი არ იქნება. მეორე ადგილზეა სახელგანთქმული **ალფრედო დი სტეფანო.** მან შვიდ ფინალში მიიღო მონაწილეობა და 7 გოლი გაიტანა. მან ეს გააკეთა ზედიზედ ხუთ ფინალურ მატჩში. ესეც გამორჩეული შედეგია. ასპროცენტიანი შედეგი აქვს პორტუგალიელ **კრიშტიანუ რონალდუს**. მან 5 ჯერ ითამაშა ფინალში და 7 გოლი გაიტანა. 2017 წელს „იუვენტუსთან“ ფინალურ მატჩში მან სამი ბურთი გაიტანა და „რეალმა“ გაიმარჯვა დიდი ანგარიშით 4:1, მაგრამ არის ერთი ნიუანსი. მან ეს გააკეთა არა ზედიზედ ხუთ ფინალში, არამედ სხვადასხვა დროს და ორ გუნდში: „მანჩესტერ „იუნაიტედში“ (2009) და მადრიდის „რეალში“ (2014, 2016, 2017, 2018). ზედიზედ ხუთჯერ ამ თასს ფლობდა მადრიდის „რეალის“ ნახევარმცველი **ზარაგა.**

მწვრთნელთაგან ყველაზე უფრო მეტჯერ ეს პრესტიჟული თასი მოგებული აქვს იტალიელ **კარლო ანჩელოტის**. მან ეს ხუთჯერ გააკეთა – ორჯერ „მილანში“ (2003, 2007) და სამჯერ „რეალში (2014, 2022, 2024). ზედიზედ სამჯერ მოიგო ეს პრესტიჟული ტურნირი მადრიდის „რეალის“ მწვრთნელის რანგში **ზინედინ ზიდანმა.** ეს მოხდა 2016, 2017 და 2018 წლებში.

**და ბოლოს – კიდევ ერთი რეკორდის შესახებ, რომლის დამხობა უახლოეს ხანებში წარმოუდგენელია. 1960 წლის 18 მაისს გლაზგოში სახელგანთქმულ „ჰემპდენ პარკზე“ ფინალურ მატჩს მადრიდის „რეალსა“ და ფრანკფურტის „აინტრახტს“ შორის მაყურებელთა სარეკორდო რაოდენობა დაესწრო. მას თვალს ადევნებდა 134 000 მაყურებელი.**

მერაბ კალანდაძე

დასასრული, დასაწყისი იხილეთ „სრ“ №73

# რომელი მცენარეების მოსავალი გადაგვარჩენს ბირთვული კატასტროფის ჟამს?!

### თუ კაცობრიობას გლობალური კატასტროფა დაატყდება თავს, მაგალითად ბირთვული ზამთარი, მილიონობით ადამიანი შიმშილის პრობლემის წინაშე აღმოჩნდება



**მეცნიერებმა დაადგინეს, როგორ მოსავალზე უნდა დავამყაროთ იმედები, რათა მოსახლეობის გამოკვება საშუალო ზომის ქალაქშიც კი იყოს შესაძლებელი.**

ახალი კვლევის მიხედვით, ბირთვული კატასტროფის ან სხვა მსგავსი გლობალური კრიზისის შემდეგ ურბანულ და მასთან ახლოს მდებარე ტერიტორიებზე ხალხის გამოსაკვებად რამდენიმე მცენარის მოყვანაა ხელსაყრელი. ესენია: **ისპანახი, შაქრის ჭარხალი, ხორბალი და სტაფილო.**

PLOS One-ში გამოქვეყნებულ ნაშრომში საშუალო ზომის ქალაქის მაგალითია განხილული – ახალ ზელანდიაში მდებარე პალმერსტონ-ნორთის. ის მეცნიერებმა იმიტომ შეარჩიეს, რომ გეოგრაფიულად მსოფლიოს უამრავ სხვა ქალაქს ჰგავს: შიდა ტერიტორიაზეა, დაბალი სიმჭიდროვისაა და ე.წ. სუბურბანული ტიპის სახლებს მოიცავს.

**მკვლევრებმა Google-ის სატელიტური სურათების გამოყენებით ქალაქში არსებული მწვანე სივრცეები გააანალიზეს (ეზოები, პარკები) და გამოთვალეს, რამდენი ადამიანისთვის იქნებოდა საკმარისი იქ მოყვანილი მოსავალი. აღმოჩნდა, რომ მხოლოდ ქალაქის ტერიტორიაზე მოყვანილი მოსავალი ნორმალურ პირობებში იქაური მოსახლეობის დაახლოებით 20%-ს დააპურებს, ბირთვული ზამთრის შემთხვევაში კი — 16%-ს.**

**შესაბამისად, გადარჩენისთვის ქალაქგარეთ მდებარე მიწების გამოყენება გახდება აუცილებელი. პალმერსტონ-ნორთისთვის ეს საკვები კულტურისთვის დამატებით დაახლოებით 1140 ჰექტარს მოიაზრებს, ხოლო 110 ჰექტარი ბიოდიზელის წარმოებისთვის იქნება საჭირო, რათა ტექნიკამ იმუშაოს.**

**ნორმალურ კლიმატში მოსაყვანად საუკეთესო ბარდა აღმოჩნდა. ის პროტეინის მაღალი შემცველობით გამოირჩევა და ქალაქის პირობებში კარგად ხარობს. მისი მოყვანით ერთი ადამიანის წლიური საჭიროებების დასაკმაყოფილებლად მიწის დაახლოებით 292 კვადრატული მეტრი ფართობია საჭირო. ეს ბევრად ნაკლებია, ვიდრე, მაგალითად, კომბოსტოსა და სტაფილოს შემთხვევაში (777 კვ.მ).**

ამის მიუხედავად, ბარდა ყინვას ვერ უძლებს. შესაბამისად, თუ ბირთვული ზამთარი დადგება, უფრო გამძლე კულტურები იქნება საჭირო. **ასეთ პირობებში მეცნიერებმა საუკეთესო არჩევანად ისპანახი და შაქრის ჭარხალი მიიჩნიეს. ქალაქგარეთ მოსაყვანად საუკეთესო ნორმალურ კლიმატში კარტოფილი აღმოჩნდა, ბირთვული ზამთრისას კი — 97% ხორბლისა და 3% სტაფილოს კომბინაცია. ეს მცენარეები დაბალ ტემპერატურასა და მზის სხივების ნაკლებობას უკეთ იტანს.**

ვინაიდან ქალაქების დიდი ნაწილი მდინარეებთან ახლოს გაშენდა, ნაყოფიერ ნიადაგზე, ადგილობრივი საკვების წარმოების ფარული პოტენციალი დღესაც ბევრ მათგანს აქვს. კვლევის ავტორები აღიარებენ, რომ რეალურ სამყაროში მაინც მრავალი გაურკვეველი ფაქტორია: **ნიადაგის ხარისხი, წყლის ხელმისაწვდომობა და სხვა ინფრასტრუქტურული პრობლემები. ასეა თუ ისე, უკანასკნელი კვლევა შეიძლება საინტერესო იყოს იმ ქალაქებისთვის, რომლებშიც ურბანული მეურნეობის განვითარებას სერიოზულად განიხილავენ.**

# მეცნიერებმა „ხეების ენას“ მიაგნეს



**ავსტრალიის უნივერსიტეტისა და იტალიის ტექნოლოგიური ინსტიტუტის მკვლევრებმა პირველად დააფიქსირეს ბიოელექტრული სიგნალები, რომლებსაც არყის ხეები მზის დაბნელებისთვის მოსამზადებლად იყენებენ. საქმე იმაშია, რომ ამ სიგნალებს პირველები უძველესი ხეები აგზავნიან, რაც იმაზე მიუთითებს, რომ მათ ეკოლოგიურ მოვლენებზე გარკვეული ინფორმაცია უკვე დამახსოვრებული აქვთ.**

**„ეს კვლევა არის სინქრონიზებული რეაქციას ლუსტრაცია, რომლებსაც ჩვენ ვაკვირდებოდით. ეს არის გასაღები იმისა, თუ როგორ ურთიერთობენ და ადაპტირდებიან ტყეები ერთმანეთთან. ამას მცენარეების ქცევაში ახალ უფრო რთულ დონეზე ავყავართ“,** – განაცხადა პროფესორმა **მონიკა გალიანომ.**

მისი თქმით, ეს მოქმედებაში მოყვანილი ხეების ერთგვარი ქსელია. აქამდე მცენარეებს შორის კომუნიკაციის დაჭერა მეცნიერებს არ შეეძლოთ, თუმცა ყველა ცოცხალ ორგანიზმს აქვს ბიოელექტრული სიგნალები. იმის გათვალისწინებით, რომ ნებისმიერ ორგანიზმში – დაწყებული ვირუსებიდან დამთავრებული მტაცებლებით – ჩადებულია თვითგადარჩენის ინსტინქტი, ეს სიგნალები მათ მოსალოდნელი საფრთხის შესახებ აფრთხილებს.

კვლევის ჩასატარებლად მეცნიერებმა სპეციალური სენსორული ტექნიკა გამოიყენეს, რომლებმაც ამ სიგნალების დაჭერა შეძლეს. მეცნიერებმა ველის კვანტური თეორია დაიხმარეს და აღმოაჩინეს, რომ ამ სიგნალების აქტივობა მზის დაბნელებამდე რამდენიმე საათით ადრე მკვეთრად გაიზარდა. სიგნალები კი ყველაზე ძველი ხეებიდან წამოვიდა.

მეცნიერების თქმით, მათ ერთგვარ „ხეების ენას“ მიაგნეს, თუმცა კვლევა ჯერ ნოვატორულია და მუშაობა ამ მიმართულებით გრძელდება, რათა ადამიანებმა უკეთ გაიგონ, როგორ ადაპტირდება ეკოსისტემა კლიმატის ცვლილებებთან.

**„ის ფაქტი, რომ ძველი ხეები პირველები რეაგირებენ მათ განსაკუთრებულ როლზე მიუთითებს. ისინი ერთგვარ მეხსიერების ბანკის როლში გამოდიან, რომლებსაც წარსულში მომხდარი ეკოლოგიური მოვლენები ახსოვთ. ეს კვლევა მიუთითებს იმაზე, თუ რამდენად კრიტიკულად მნიშვნელოვანია ძველი ტყეების დაცვა, რომლებიც ეკოსისტემის სიმყარის გარანტია. ისინი ინახავენ და გადასცემენ ფასდაუდებელ ეკოლოგიურ ცოდნას“,** – აღნიშნა **გალიანომ.**

**ცნობისთვის, ეს კვლევა ახალ დოკუმენტურ ფილმში „ტყის კოდექსი“ მოხვდება, რომელიც ამა წლის მაისში გამოვა.**

## სანთელი



გაზეთები „საქართველოს რესპუბლიკა“ და „ასავალ-დასავალი“, საქართველოს ჟურნალისტთა ფედერაცია სამძიმარს უცხადებენ დენის დავითაშვილს შვილის

**მიხეილ (მიშკა) დავითაშვილის**

გარდაცვალების გამო

# 13 წლის მოზარდის მიმართ გარყვნილი ქმედების ბრალდებით 22 წლის ბიჭი დააკავეს



**„პრაიმტაიმს“ შინაგან საქმეთა სამინისტროში განუცხადეს, მომხდარზე გამოძიება სისხლის სამართლის კოდექსის 141-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ვ“ ქვეპუნქტით დაიწყო, რაც სრულწლოვნის მიერ წინასწარი შეცნობით თოთხმეტი წლის ასაკს მიუღწეველი პირის მიმართ ძალადობის გარეშე განხორციელებულ გარყვნილ ქმედებას გულისხმობს.**

# ამოღებულია, ისევ და ისევ, დიდი ოდენობით ნარკოტიკი

**შინაგან საქმეთა სამინისტროს თბილისის პოლიციის დეპარტამენტის საგამოძიებო მთავარი სამმართველოსა და დეტექტივების (ოპერატიული) მთავარი სამმართველოს თანამშრომლებმა, ჩატარებული ოპერატიული ღონისძიებებისა და საგამოძიებო მოქმედებების შედეგად, ნარკოდანაშაულის ბრალდებით ერთი პირი დააკავეს,** – ამის შესახებ ინფორმაციას საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრო ავრცელებს.



მათივე ცნობით, დიდი ოდენობით ნარკოტიკული საშუალების უკანონო შეძენა-შენახვისა და რეალიზაციის ბრალდებით დაკავებულია 1987 წელს დაბადებული გ.მ.

**„დანაშაული 20 წლამდე ან უვადო თავისუფლების აღკვეთას ითვალისწინებს. შინაგან საქმეთა სამინისტროს თანამშრომლებმა მოსამართლის განჩინების საფუძველზე არაერთი ფარული საგამოძიებო მოქმედება ჩაატარეს, რითაც დადგინდა, რომ ბრალდებული ნარკოტიკულ საშუალებებს ყიდდა. პოლიციამ მოსამართლის განჩინების საფუძველზე, რამდენჯერმე განახორციელა სხვადასხვა სახის ნარკოტიკული საშუალებების საკონტროლო შესყიდვა და აღნიშნული შესყიდვების ფარული აუდიო-ვიდეოჩაწერა.**

სამართალდამცველებმა ნარკოდანაშაულის ბრალდებით დაკავებული გ.მ.-ს პირადი და საცხოვრებელი სახლის ჩხრეკისას დიდი ოდენობით სხვადასხვა სახის ნარკოტიკული საშუალებები, მათ შორის: „კოკაინი“, „ალფა-პვპ“ და „კლეფედრონი“ ამოიღეს. საგამოძიებო მოქმედებების შედეგად, პოლიციის მიერ ნივთმტკიცებად, ასევე, ამოღებულია ნარკოტიკული საშუალების დაფასოებისთვის საჭირო მასალები, ელექტროსასწორი და სავარაუდოდ ნარკოტიკების რეალიზაციის შედეგად მიღებული თანხა.

# ვაკეში მოკლული ბიზნესმენის საქმეზე კიდევ ერთი პირი დააკავეს

**ვაკეში მოკლული ბიზნესმენის ლევან ჯანგველაძის საქმეზე კიდევ ერთი პირი დააკავეს,** – ინფორმაციას ამის შესახებ მოკლული კაცის ოჯახის ინტერესების დამცველი ტარიელ კაკაბაძე ავრცელებს.

**„ლევან ჯანგველაძის მკვლელობის საქმეზე სულ ახლახან დააკავეს ს. წივწივაძე. დადასტურდა, რომ ს. წივწივაძე ფლობდა წარსულში იმ იარაღს, რომლითაც მოკლეს ლევან ჯანგველაძე, ანუ დადასტურდა ის, რაზეც აქამდე ვსაუბრობდით! ახლა გამოსაძიებელია, თუ ვის მფლობელობაში გადავიდა ს. წივწივაძის იარაღი და როგორ აღმოჩნდა ის მკვლელის ხელში!!!“,** – წერს ადვოკატი.



## სიტყვა — მიზანში



# როგორც – არასდროს, ერთსულ!!! და... ერთად!!!

რამდენი ზეობს,
სიცრუის აფრით?!..
რაიც – ტკივილად
და ცეცხლად გვეგზნო...
საუკუნეა –
მზაკვრული, მძაფრი,
საუკუნეა
ცბიერი, – ეგზომ...

ვერაგი ქართულ
მზესულზე ქუფრობს,
გაბევრდა ყოფნა,
ურთიერთ მგლური...
და ... სავალალო
ის არის, უფრო,
რომ ... ქრება: რწმენა,
სულიც და ... გულიც...

შემოგვეთესლა
ოდით, რამდენი?!..
ჩვენს ვარდის ბაღში
ზოგმა – ინარა...
შინ გახდა – სისხლის,
ცრემლის დამდენი,
ვხედავთ ქართველობს –
ვინ... და... ვინ – არა?!..

ტკივილი ჩვენი,
რომ აღწევს ცამდე,
მოყვრისგან დაჭრილ
იარებს ვიხვევთ,
ვიცოდეთ: ეს... და...
ეს უნდა გვწამდეს –
შიგნიდან ტყდება, –
უფრორე, ციხე...

წინაპართ სახელს, –
მოსულს – არაკად,
ბღალავენ როცა
რისხვით ვივსებით...
თვით, სიცოცხლესაც
დადებს ზვარაკად,
აქვს, ახლა, ვისაც –
წვეთიც – ღირსების!..

დევს ჯოჯოხეთზე –
ხმლისპირის ბონდი,
ფარული მიზნით,
ღიმილის მჩენი...
დღეს მტერი –
კოცნით...
და... ფულით მოდის,
უნდა, რომ... გაქრეს
სინსილა ჩვენი...

მოგვხიბლონ უნდათ,
ლამაზი ბოდვით,
მილიარდებით,
ხან კი – გროშებით...
მოვდივართ ჯვარცმით,
მოვდივართ, ოდით;
მზით, სიყვარულით,
რწმენის დროშებით!..

დაგვიდასტურებს –
სიონიც, სხალთაც,
უფლის სიკეთის
ნებას მივნებდით...
ქართული სულით –
მსახურად სხვათა,
ჩვენ ვერ ვიქნებით:
ყმები!!!.. მონები!!!..

ფარავენ ნიღბით –
მიზანს და... სახეს,
დემოკრატია –
უკუღმა ბრუნდა?!..
ათასი ფანდით
გვიგებენ მახეს...
მაგრამ... ჩვენ, მაინც,
გადავრჩეთ უნდა!!!..

დრომ მრავალ, მრავალ
მზედღეს დაგვასწროს,
არ-რით, არ გავხდეთ
საჯიჯგნი მტერთა...
როგორც – არასდროს,
როგორც – არასდროს,
როგორც – არასდროს:
ერთსულ!!! და... ერთად!!!..

**P.S.**
უფლის უმტკიცეს,
შევიკრათ გუნდად,
და... გაქრობისგან,
გადავრჩეთ უნდა!..
მზით, სიყვარულით –
გადავრჩეთ უნდა!!!..
გადავრჩეთ უნდა!..
გადავრჩეთ უნდა!!!..

**ფარნა რაინა**

12-V-2025 წ.
თელავი

# საქართველოს სხვადასხვა კუთხის ეროვნული სამოსი და სამკაულები საზღვარგარეთ გამოიფინება

**საზღვარგარეთ საქართველოს დამოუკიდებლობის დღის აღსანიშნავად გამართულ ქართული კულტურის დღეებზე, საქართველოს სხვადასხვა კუთხის ეროვნული სამოსი და სამკაულები გამოიფინება.**

ქართული სამოსისა და სამკაულის მრავალსაუკუნოვანი ტრადიციის წარმოჩენის მიზნით, სადღესასწაულო ღონისძიებებზე მისულ სტუმრებს შესაძლებლობა ექნებათ, დაათვალიერონ ქალის ქართლ-კახური, ხევსურული, სვანური და აჭარული სამოსის, მამაკაცის თავადური ჩოხის, ხევსურული ჩოხის, მეგრულ-აფხაზური ჩოხის, აჭარული სამოსის ნიმუშები, ასევე გაეცნონ სხვადასხვა კუთხის ქართულ ტრადიციულ სამკაულს. გამოფენაზე წარმოდგენილი იქნება საყურეები, სამაჯურები, ყელსაბამები, გულსაბნევები, აფხაზური დიადემა, არქაული ხანის გულსაბნევის მიხედვით შექმნილი აბზინდა და სხვა.




საქართველოს გარშემო საუკუნეების განმავლობაში მიმდინარე პროცესებისა და დიდი გამოწვევების ფონზე ქართველები ყოველთვის დიდი გარდაქმნებისთვის ემზადებოდნენ, თუმცა თვითმყოფადობას არ კარგავდნენ და უცხოური მოდის აგრესიული ექსპანსიის პირობებშიც ახერხებდნენ ეროვნული სამოსის შენარჩუნებას.

# „ქართული კლასიკური მუსიკის საღამოების" მეორე კონცერტი



**23 მაისს საქართველოს ეროვნულ ბიბლიოთეკაში პროექტის „ქართული კლასიკური მუსიკის საღამოები" რიგით მეორე კონცერტი გაიმართა.**

ეროვნული ბიბლიოთეკის ინფორმაციით, მონაწილეობდნენ: **თამარ ლიჩელი, დავით ალადაშვილი, ლიზა რამიშვილი, თეიმურაზ გუგუშვილი,** ასევე – სახელმწიფო კამერული ორკესტრი **„საქართველოს სინფონიეტა"**.

## წლის მუსიკალური ინფლუენსერის პრიზი ნუცა ბუზალაძეს

**ნუცა ბუზალაძეს WIBA Awards-ის დაჯილდოების ფარგლებში წლის მუსიკალური ინფლუენსერის პრიზი გადასცეს.**

ამის შესახებ ნუცა სოციალურ ქსელში წერს და კადრებს გვიზიარებს. ღონისძიება საფრანგეთში, კანში შედგა.

**„ეს ნამდვილად დიდი პატივია, მადლიერი ვარ,"** – ამბობს **ნუცა**.




# ვის გადაეცა კანის კინოფესტივალის მთავარი ჯილდო?

**კანის 78-ე კინოფესტივალის ოქროს პალმის რტო ირანელი რეჟისორის ჯაფარ პანაჰის ფილმს „უბრალო შემთხვევითობა" მიენიჭა.**

გრან-პრი დანიელი რეჟისორის იოაკიმ ტრიერის სურათს „სენტიმენტალური ღირებულება" ერგო. პრიზი საუკეთესო რეჟისურისთვის ბრაზილიელ კლებერ ნედონსა დილიოს



გადაეცა ფილმისთვის **„საიდუმლო აგენტი"**. ჯილდო საუკეთესო სცენარისთვის ჟან-პიერ დარდენსა და ლიუკ დარდენს მიენიჭათ, ფრანგულ-ბელგიური ფილმისთვის **„ახალგაზრდა დედები"**.

საუკეთესო მსახიობ კაცად ბრაზილიელი ვაგნერ მოურა აღიარეს (**„საიდუმლო აგენტი"**), საუკეთესო ქალი მსახიობი კი ნადია მელიტი გახდა (**„უმცროსი და"**). ჟიურის პრიზი ფრანგი რეჟისორის ოლივერ ლაშეს ნამუშევარს „სირატი" და გერმანელი მაშა შილინსკის "დაცემის ხმას" გადაეცათ.

საქართველოს რესპუბლიკა

გამომცემელი და
მთავარი რედაქტორი
**სპარტაკ ქოგულია**
(599-36-00-35)

რედაქტორის მოადგილე
**მამუკა ვაშაკიძე**
(597-22-07-04)

შემოქმედებით ჯგუფი:
**ალეკო ასლანიშვილი,
თემურ ქორიძე,
ოთარ ტურაბელიძე,
გია პლატონიშვილი.**

პიარისა და
მარკეტინგის მენეჯერი
**რუსუდან ქოგულია**
(577-77-27-17)

ტექნიკური რედაქტორი:
**კახა ქორიძე.**

სტილისტ-კორექტორები:
**ნაირა კეკელია,
მაია იორამაშვილი.**

ოპერატორი
**შორენა გვილია.**

გაზეთის განახლებული
ლოგოს ავტორი
**გიორგი ნადარეიშვილი.**

**მისამართი:**
თბილისი,
აკაკი წერეთლის N116

**წერილები გამოგზავნეთ
ელექტრონულ მისამართზე:**
**sak@sak.ge**

გაზეთი დამოუკიდებელია და ხელმძღვანელობს თავისუფალი პრესის პრინციპით. რედაქციის აზრი, შესაძლოა, არ ემთხვეოდეს ავტორთა მოსაზრებებს.

ფაქტების სიზუსტეზე პასუხისმგებელია ავტორი. საავტორო უფლებები დაცულია. რედაქცია პასუხს არ აგებს სოციალური ქსელიდან და სხვა მედია-საშუალებებიდან გადმოგზავნილ, ან უცხოური პრესიდან თარგმნილი მასალების, ფაქტების, ინფორმაციის სიზუსტეზე.

იბეჭდება სტამბა
**„კოლორში"**
ე. ბაღდავაძის №3

კოლორ ჯგუფი

uac(უაკ)070.4(479.22)
C–323

2 009882 689431

რეკლამისთვის დარეკეთ:
577-77-27-17
rkobulia29@gmail.com
ნებისმიერი თანხა ჩარიცხეთ ანგარიშზე:
GE90BG0000000538329790

**მომდევნო ნომერი გამოვა ხუთშაბათს, 29 მაისს**